2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მარაგები წარმოადგენდა ჯგუფის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას.

17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	30.06.2026	31.12.2025
სავაჭრო მოთხოვნები	43 348	41 700
გაუფასურების რეზერვი	(634)	(634)

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (არა-აუდიტირებული)

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

წმინდა ფინანსური აქტივები	42 714	41 066
სხვა ავანსები	(94)	(125)
შვილობილი კომპანიის წილის გაყიდვიდან მისაღები თანხები	50	50
წინასწარ გადახდილი გადასახადები	878	373
სხვა მოთხოვნები	6 991	8 954
საბანკო დეპოზიტებიდან მისაღები პროცენტები	501	1 356
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	50 539	51 674

2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენდა ჯგუფის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას.

18. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	30.06.2026	31.12.2025
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	95 058	84 371
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	160	63
შეზღუდული ფული	-	-
ნაღდი ფული	1 342	1 723
სულ	96 560	86 157

18² სადეპოზიტო სერტიფიკატი

2026 წლის 30 ივნისისთვის არსებული ნაშთი წარმოადგენს ჯგუფის მიერ საქართველოში არსებული ბანკებიდან შეძენილ 6-თვიან სადეპოზიტო სერტიფიკატებს. სერტიფიკატების შეძენაში გადახდილია 15 მილიონ ლარი. სერტიფიკატებს ერიცხება პროცენტი. მათი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ვარირებს 11.3 % დან 12.5 % მდე. დარიცხული პროცენტის ნაშთი შეადგენს 501 ათას ლარს. ბანკის მაღალი საკრედიტო რეიტინგისა, ინსტრუმენტის მოკლევადიანობის და მაღალლიკვიდურობის გათვალისწინებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდა ნოლის ტოლად. დეპოზიტები წარმოადგენს სტანდარტულ დეპოზიტებს და დეპოზიტის გამცემ ბანკებს არ აქვს ვალდებულება გამოისყიდოს დეპოზიტი მისი მოქმედების პერიოდში.

19. სააქციო კაპიტალი

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“ სააქციო კაპიტალი 2026 წლის 30 ივნისისთვის მოიცავს 6,471 ათას ცალ (31.12.25: 6,471 ათასი) ჩვეულებრივ აქციას, რომლებიც გამოშვებულია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით და ასევე, 160 ცალ (რომლისგანაც განთავსებულია 2026 წლის 30 ივნისის და 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 160 და 160 ცალი შესაბამისად) პრივილეგირებულ აქციებს:

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ინფორმაციას ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების შესახებ:

ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი	ხმის უფლება		ღირებულება (ლარი)	
	30.06.2026	31.12.2025	30.06.2026	31.12.2025
სუბიაშვილი ვასილ	23%	23%	1 488 235	1 488 235
გუბანოვი ოლეგ	8%	10%	517 645	647 057
დუმბაძე დავით	11%	11%	679 413	679 413
ცირეკიძე თალიკო	9%	9%	582 353	582 353
სალუქვაძე მაკა	6%	6%	388 236	388 236
ცერცვაძე გურამ	5%	5%	323 529	323 529
ნიკოლაიშვილი ირაკლი	3%	3%	177 942	177 942
ნიკა სუბიაშვილი	1%	1%	71 177	71 177
სოფიო სუბიაშვილი	1%	1%	71 177	71 177

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (არა-აუდიტირებული)

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ტარადინი დემენტი	2%	2%	129 412	129 412
GREENMOON LTD	13%	13%	860 580	860 580
ილია გუბანოვ	2%	0%	129 412	-
ეკატერინა გუბანოვა	2%	2%	129 412	129 412
ოლგა გუბანოვა	2%	2%	129 412	129 412
ქსენია გუბანოვა	2%	2%	129 412	129 412
ანტონ ნიკოლაიშვილი	1%	1%	58 235	58 235
რუსუდან ჯერენაშვილი	1%	1%	58 235	58 235
თამარ ჯერენაშვილი	2%	2%	129 412	129 412
გამოსყიდული საკუთარი აქციები	6%	6%	417 359	417 359
სულ	100%	100%	6 470 588	6 470 588

პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი

	რაოდენობა		ღირებულება	
	30.06.2026	31.12.2025	30.06.2026	31.12.2025
ანდრეი ისაევი	98	78	13 913	12 248
Pelicans venture corp	-	20	-	2 692
სს გალთ ენდ თაგარტი (ნომინალური მფლობელი)	2	2	283	244
მაზიაშვილი არჩილ	6	6	852	498
ფიჩხაია თამარ	4	4	568	485
ვაჩნაძე გიორგი	13	13	1 846	1 602
ცერცვაძე გურამ	3	3	426	365
ცერცვაძე ეკა	1	1	142	135
ჯანჯღავა ივანე	1	1	142	83
ნარეშელაშვილი ირაკლი	1	1	142	117
კიკნაძე ნოდარი	1	1	142	125
გვაზავა ოთარი	1	1	142	120
ნიჟარაძე ტარას	10	10	1 420	1 430
ტიხონოვა დარია	1	1	142	139
პანასიუკ კატერინა	1	1	142	135
პანასიუკ ოლეკსანდრ	2	2	283	269
ყაველაშვილი თამარ	4	4	568	536
გუბანოვი ოლეგი	8	8	1 136	1 088
ტარადინი დემენტი	3	3	426	404
გამოსყიდული პრივილეგირებული აქციები	-	-	-	-
სულ	160	160	22 715	22 715

ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს არ გააჩნიათ უფლება ფიქსირებულ შემოსავალზე. ხმის უფლებები ნაწილდება განთავსებული აქციების პროპორციულად. ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს აქვთ უფლება მიიღონ კომპანიის მიერ გამოცხადებული დივიდენდი.

არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული აქციების მფლობელებს აქვთ უფლებამოსილება, მიიღონ წლიური დივიდენდი ფიქსირებული პროცენტით, რომელიც არ არის მუდმივი და შესაძლოა შეიცვალოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა გადაწყვეტილებით. პრივილეგირებულ აქციებს არ აქვს ხმის უფლება. 2025 წელს პრივილეგირებულ აქციონერებზე გაიცემოდა დივიდენდი პრივილეგირებულ აქციის ნომინალური ღირებულების წლიური 6.85 პროცენტის ოდენობით. 2026 წლის იანვარში განხორციელდა კომპანიის წესდებაში ცვლილება და პრივილეგირებულ აქციონერებს წლიურად დაერიცხებათ დივიდენდი 3,425 დოლარის ექვივალენტი ლარში, ფიქსირებულ თანხის ოდენობით.

2026 წლის 30 ივნისისთვის კომპანიას გამოსყიდული ჰქონდა 417 ათასი (31.12.25: 417 ათასი) საკუთარი ჩვეულებრივი აქცია, რომლებიც აღრიცხულია მთლიანი ნომინალური ღირებულებით 417 ათასი ლარი (31.12.25: 417 ათასი). საკუთარი აქციების გამოსყიდვის/ხელახალი გაყიდვის დროს გადახდილ/მიღებულ თანხასა და ნომინალურ ღირებულებას შორის არსებული სხვაობა აღირიცხა იმ პერიოდის გაუნაწილებელ მოგებაში, როდესაც გამოისყიდეს/გაყიდეს აქციები.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (არა-აუდიტირებული)

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

20. სესხები

	30.06.2026	31.12.2025
ობლიგაციები და სესხები		
საბანკო სესხები ცვლადი პროცენტით.	110 430	101 336
საბანკო სესხი ფიქსირებული პროცენტით.	-	1 810
ობლიგაციები ცვლადი პროცენტით.	179 412	179 363
სესხების გრძელვადიანი ნაწილი	289 842	282 509
საბანკო სესხები ცვლადი პროცენტით	43 142	36 996
საბანკო სესხი ფიქსირებული პროცენტით	94	94
ობლიგაციები ცვლადი პროცენტით	2 358	2 548
სესხების მიმდინარე ნაწილი	45 594	39 638
სულ სესხები	335 436	322 147

საბანკო სესხები არის 1- დან 7 წლამდე ვადიანობის. ქართულ ლარში დენომინირებულ სესხებს გადასახდელი აქვთ წლიურად პროცენტის მცოცავი განაკვეთი, რომელიც უთანაბრდება რეფინანსირების განაკვეთს (30.06.2026 – 8.25% და 31.12.25 - 8%) დამატებული 3.5 იდან 5.5 მდე პროცენტის ოდენობით დიაპაზონში დანამატი. ევროში დენომინირებულ სესხებს აქვთ ცვალეზადი განაკვეთი, რომელიც მიბმულია მიბმული 6 თვიან Euribor-ზე (2.568 პროცენტის ოდენობით 2026 წლის ივნისის მდგომარეობით) დამატებული 3.5 იდან 6.35 მდე პროცენტის ოდენობით დიაპაზონში დანამატი, აშშ დოლარში დენომინირებულ სესხებს აქვთ ცვალეზადი განაკვეთი, რომელიც მიბმულია მიბმული 6 თვიან SOFR-ზე (3.67 პროცენტის ოდენობით 2026 წლის 30 ივნისისმდგომარეობით) დამატებული 2.8 იდან 5 მდე პროცენტის ოდენობით დიაპაზონში დანამატი. ფიქსირებული სესხები წარმოადგენს დოლარში, ევროებში და ლარებში ნომინირებულ სესხებს. ლარში სესხების საპროცენტო განაკვეთია 9.5-13%, ხოლო დოლარში და ევროში 6.85 % ოდენობით. სესხები უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებით, სავაჭრო მოთხოვნებითა, ბიოლოგიური აქტივებით, დეპოზიტით და მარაგებით. სესხების უზრუნველყოფაში არსებული აქტივების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შესაბამისი აქტივების განმარტებითი შენიშვნები.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სესხების და ობლიგაციების მოძრაობას 2026-ის ნახევარი წლის და 2025 წლის განმავლობაში:

	30.06.2026	31.12.2025
1 იანვარი	322 147	207 059
სესხების აღება	172 090	212 161
ობლიგაციების გამოშვება	-	119 542
სესხების დაფარვა	(156 437)	(183 175)
ობლიგაციების გადახდა	-	(35 000)
საპროცენტო ხარჯი	13 658	18 846
კაპიტალიზაციის მიზნებისათვის საპროცენტო შემოსავალთან განეტებული საპროცენტო ხარჯი	1 100	3 304
პროცენტის დაფარვა	(15 183)	(23 069)
პროცენტის კაპიტალიზაცია	289	1 945
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(2 228)	534
31 დეკემბერი	335 436	322 147

2025 წლის სექტემბერში სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-მა გამოუშვა 60 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები, რომლის დაფარვის ვადაა 2030 წლის სექტემბერი. კომპანიას ობლიგაციებზე გადასახდელი აქვს წლიურად TIBR3M განაკვეთს (2026 წლის 30 ივნისისთვის შეადგენს 3 თვიანი პერიოდისათვის წლიური 8.2317) დამატებული 3.5%. ობლიგაციებზე კუპონი/პროცენტი გადაიხდება ყოველ კვარტალურად. ობლიგაციები წარმოადგენს სს ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და კომპანიის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (არა-აუდიტირებული)

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2024 წლის 17 ოქტომბერს, ჯგუფში შემავალმა კომპანია სს „ნიკორა თრეიდი“-მა გამოუშვა 60 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები, რომლის დაფარვის ვადაა 2029 წლის 17 ოქტომბერი. ჯგუფს ობლიგაციებზე გადასახდელი აქვს წლიურად თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთს (2026 წლის 30 ივნისისთვის შეადგენს 3 თვიანი პერიოდისათვის წლიური 8.2317) დამატებული 3.25 %. ობლიგაციებზე კუპონი გადაიხდება სამ თვეში ერთხელ. ობლიგაციები წარმოადგენს სს ნიკორა თრეიდის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და სს ნიკორა თრეიდის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

2026 წლის ივლისში, ჯგუფში შემავალმა კომპანიამ სს „ნიკორა თრეიდი“-მა გამოუშვა 60 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები, რომლის დაფარვის ვადაა 2030 წლის ივლისში. სს ნიკორა თრეიდს ობლიგაციებზე გადასახდელი აქვს წლიურად თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთს (2026 წლის 30 ივნისისთვის შეადგენს 3 თვიანი პერიოდისათვის წლიური 8.2317) დამატებული 3.5 %. ობლიგაციებზე კუპონი გადაიხდება სამ თვეში ერთხელ. ობლიგაციები წარმოადგენს სს ნიკორა თრეიდის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და სს ნიკორა თრეიდის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

სესხები და ობლიგაცია ითვალისწინებს გარკვეულ შემზღუდველ პირობებს. მოცემული გულისხმობს გარკვეული ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებების დაკმაყოფილებას, მათ შორის დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ობლიგაციების მფლობელს/გამსესხებელს წარმოექმნება უფლება და არა ვალდებულება მოითხოვოს შესაბამისი სესხის სრული ან ნაწილობრივი დაფარვა ვადაზე ადრე. ფინანსური შეზღუდვების დარღვევის შემთხვევაში ობლიგაციების და სესხების ხელშეკრულება მოიცავს შეზღუდვებს დივიდენდების გადახდასთან დაკავშირებით.

ჯგუფის წევრების ობლიგაციებით და ცალკეული ბანკის სესხებით ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების/შეზღუდვების (ფინანსური კოეფიციენტების) ნაწილი უნდა დაკმაყოფილდეს სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დონეზე გაანგარიშებული კოეფიციენტების საფუძველზე. ეს მოთხოვნები 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დაკმაყოფილებულია.

21. გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალი წარმოადგენს სახელმწიფოსაგან შემდგომი საინვესტიციო ვალდებულების პირობით უსასყიდლოდ გადმოცემულ აქტივთან დაკავშირებულ გადავადებულ საგრანტო შემოსავალს. ამასთანავე ამ აქტივთან დაკავშირებით საწარმომ უნდა შეასრულოს გარკვეული არაფინანსური ვალდებულება - წარმოების დაწყება 2025 წლის 30 მარტს და წარმოების დაწყებიდან მომავალ 5 წლის განმავლობაში შეინარჩუნოს საქმიანობის პროფილი. გადავადებული შემოსავალი და აქტივი შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით გადმოცემის მომენტში. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ფინანსური ვალდებულების შესრულება დასრულებულია.

22. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	30.06.2026	31.12.2025
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	233 092	226 056
სულ ფინანსური ვალდებულებები	233 092	226 056
გადასახდელი ხელფასები	10 192	4 138
სახელშეკრულებო ვალდებულებები	1 408	3 736
არამაკონტროლებელი წილის მფლობელების მიმართ გადასახდელი დივიდენდები	208	96
შვილობილი კომპანიის წილის გამოსყიდვისას გადასახდელი თანხები	78	233
საგადასახადო ვალდებულებები	3 186	3 356
მიღებული ავანსები	116	460

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (არა-აუდიტირებული)

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სხვა ვალდებულებები	13	13
სულ არაფინანსული ვალდებულებები	15 201	12 032
სულ ვალდებულებები	248 293	238 088

ჯგუფის ცალკეული მომწოდებლებზე რიცხული ვალდებულებების ნაწილი უზრუნველყოფილია 14,012 ათასი ლარის საბანკო გარანტიით.

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

	30.06.2026	31.12.2025
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	37	26
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	865	362
საიჯარო ვალდებულებები	22 499	24 490
ობლიგაციები და სესხები	89	94
ხელფასები და ბონუსები ვალდებულება ნაშთი	379	270
	6 თვე 2026	6 თვე 2025
არამაკონტროლებელი წილის მფლობელის მიერ	134	560
კაპიტალში შენატანი	-	11 215
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	-	11 215
მარაგებისა და ნედლეულის შეძენა	3 031	1 164
შემოსავალი დივიდენდიდან	139	-
დივიდენდის განაწილება	340	279
ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება	2 959	2 664
შეადგენს		

ჯგუფის კომპანიებს შორის ოპერაციები არის ელიმინირებული და არ არის განმარტებული.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე ადგილი ჰქონდა ქვემოთ ჩამოთვლილ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- სარეიტინგო კომპანია „Scope Ratings“-მა, 2026 წლის 26 აგვისტოს გამოაქვეყნა სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს განახლებული (შემცირებული) საკრედიტო რეიტინგის შესახებ ანგარიში ([Scope Rating](#)); კომპანიას რეიტინგი განესაზღვრა B+ „უარყოფითი პერსპექტივით“.
- ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2026 წლის 26 აგვისტოს კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.
- ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

25. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

25.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (არა-აუდიტირებული)

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ათას ლარში.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი წარდგენილია კონსოლიდირებულ მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო სიდიდით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო
2025 წლის 30 ივნისისთვის	2.7236	3.1882
2025 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6951	3.1737
2026 წლის 30 ივნისისთვის	2.6453	3.0156

25.2 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ჯგუფი აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- ▶ მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- ▶ სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- ▶ გარიგების ფასის განსაზღვრა;
- ▶ გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ▶ ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

ჯგუფის ამონაგები მოიცავს შემდეგ სახეებს: საკუთარი წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია, პროდუქციის რეალიზაცია საცალო მაღაზიებში, სხვა მხარის მიერ წარმოებული პროდუქციის სადისტრიბუციო ქსელის მეშვეობით რეალიზაცია. მომხმარებლებზე კონტროლი გადადის მომხმარებლების მიერ პროდუქციის გაყიდვიდან და შესაბამისად ჯგუფი ამონაგებს აღიარებს დროის გარკვეულ მონაკვეთში. ჯგუფი თავის შეთანხმებებში არის მარწმუნებელი. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (არა-აუდიტირებული)

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება, მიუხედავად იმისა როდის მოხდება ანაზღაურება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების საფუძველზე, გადასახადების გამოკლებით. საცალო რეალიზაციის შემთხვევაში მომხმარებლებს არ აქვთ უფლება უკან დააბრუნონ პროდუქცია, დანარჩენ შემთხვევებში უკან დაბრუნება პროდუქციის შესაძლებელია.

გარიგების ფასის განსაზღვრა

საცალო რეალიზაციის შემთხვევაში ჯგუფი ამონაგებს იღებს ფიქსირებული ფასით. ფასები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად, თუმცა მომხმარებელმა თითოეულ პროდუქციაზე იცის ფასი ყიდვამდე. მომხმარებელი ფულის იხდის პროდუქციის შესყიდვის მომენტში. შესაბამისად ხელმძღვანელობა არ აკორექტირებს ამონაგებს ფულის დროითი ღირებულების გამო.

ჯგუფის საცალო გაყიდვების მიმართულება ახორციელებს ერთგული მომხმარებლის წამახალისებელ პროგრამას. ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს ე.წ. “ბონუს ბარათებს”, რომელზეც თანხის დარიცხვა ხდება მომხმარებლის მიერ პროდუქციის შესყიდვის პროპორციულად. ბარათის მფლობელს მომავალში ნიკორას სუპერმარკეტში ნებისმიერი პროდუქტის შეძენის საშუალება აქვს. მოცემული ქულები ჯგუფისთვის წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებას. ტრანზაქციის ფასს წარმოადგენს მომხმარებლისგან მიღებული ფული და ფულის ეკვივალენტები, რომელიც ნაწილდება შესყიდვის მომენტში შესასრულებელ და ბონუს ქულების საფუძველზე შესასრულებელ ვალდებულებებს შორის.

დანარჩენ შემთხვევებში ჯგუფის გარიგების ფასი მოიცავს ცვალებად ანაზღაურებას. ჯგუფი ცვალებად ანაზღაურებას აფასებს შემდეგი მეთოდებით:

ა) მოსალოდნელი ღირებულება არის ანაზღაურების შესაძლო მნიშვნელობების დიაპაზონიდან აღებული ანაზღაურების მნიშვნელობების ალბათობებით შეწონილი სიდიდეების ჯამი. ანაზღაურების მოსალოდნელი ღირებულება შეიძლება იყოს ცვალებადი ანაზღაურების სათანადო შეფასება, როდესაც საწარმოს ანალოგიური მახასიათებლების მქონე მრავალი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული; ბ) ყველაზე მაღალი ალბათობის მოსალოდნელი ღირებულება - ეს არის ანაზღაურების შესაძლო მნიშვნელობების დიაპაზონიდან აღებული ერთადერთი, ყველაზე დიდი ალბათობის მოსალოდნელი სიდიდე (ანუ, ხელშეკრულების ერთადერთი, ყველაზე მეტად მოსალოდნელი შედეგი). ყველაზე მაღალი ალბათობის მოსალოდნელი ღირებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს ცვალებადი ანაზღაურების სათანადო შეფასება, როდესაც ხელშეკრულებას მხოლოდ ორი შესაძლო შედეგი გააჩნია (მაგალითად, საწარმო ან მიიღებს საქმიანობის შედეგზე დამოკიდებულ ბონუსს, ან არა).

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

ჯგუფი გარიგების ფასს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე ანაწილებს განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე. ჯგუფი ხელშეკრულების დაწყებისას განსაზღვრავს თითოეული განსხვავებული საქონლის ან მომსახურების განცალკევებით გასაყიდი ფასს, რომელიც საფუძველად უდევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებას და შემდეგ გარიგების ფასი ამ განცალკევებით გასაყიდი ფასების პროპორციულად ნაწილდება.

მომხმარებელთა წახალისების პროგრამის ფარგლებში მომხმარებელზე გაცემული ბონუს ქულები აღირიცხება იმ ამონაგებისგან განცალკევებით, რომლის ფარგლებშიც გაიცა ბონუს ქულა. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულება რეალიზაციის საწყის ეტაპზე ნაწილდება ბონუს ქულებსა და რეალიზაციის სხვა კომპონენტებს შორის. მომხმარებელზე გაცემული ბონუს ქულების სახელშეკრულებო ღირებულება მათ განაღდებადე აღიარდება, როგორც საკონტრაქტო ვალდებულება ვალდებულებების მუხლში, რომელიც ამონაგებში აღიარდება პროდუქციის მიწოდების პროპორციულად.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (არა-აუდიტირებული)

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწვევითანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

25.4 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო

ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

25.5 გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

25.6 გუდვილი

გუდვილი წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც ინდივიდუალურად არ არის განსაზღვრული და დამოუკიდებლად აღიარებული. გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გუდვილი განაწილებულია იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ისარგებლებენ საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი სინერგიით და წარმოადგენენ ჯგუფში ყველაზე დაბალ დონეს, რომელ დონეზეც ხელმძღვანელობა ახდენს გუდვილის მონიტორინგს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები, რომლებზეც ხდება გუდვილის მიკუთვნება გაუფასურებაზე ტესტირდება წელიწადში ერთხელ მაინც. გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე თავდაპირველად ამცირებს იმ გუდვილის მიმდინარე ღირებულებას, რომელიც მიკუთვნებულია ასეთ ერთეულზე. დარჩენილი გაუფასურების ზარალი პროპორციულად ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალ სხვა აქტივებზე. გუდვილის გაუფასურების აღდგენა შემდგომ პერიოდებში არ ხდება.

25.7 ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოების, საქონლის მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა და შენობები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარედგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება ისეთი ინტერვალით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულებით შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს გარემოებების არსებითად ცვლილებას, რეალური ღირებულება ფასდება ყოველწლიურად.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში,

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (არა-აუდიტირებული)

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება. გადაფასების რეზერვის გადატანა ხდება გაუნაწილებელ მოგებაზე თუ მოხდა მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების გაყიდვა ან სხვა ფორმით მისი აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების სხვა ჯგუფები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები. ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი არის ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება ხელმძღვანელობის მიერ დასახულ მიზნებს. ცხრილი გვიჩვენებს ძირითადი საშუალების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადებს. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

	მომსახურების წელი
შენობები	15-70
მანქანა-დანადგარები	2-20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	2-20
ავეჯი, ოფისის და სხვა აღჭურვილობა	2-20
ტრანსპორტი	2-10

ვენახები

ნაყოფის მომცემი კულტურა არის მცენარე, რომელიც (ა) გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად, ან მისაღებად; (ბ) მოსალოდნელია, რომ ერთზე მეტი პერიოდის განმავლობაში მოიწვევს ნაყოფს; და (გ) მცირეა სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით მისი გაყიდვის ალბათობა, ნარჩენების სახით თანმდევი გაყიდვების გარდა. გრძელვადიანი ნარგავები საწყისად არიარდება თვითღირებულებით და შემდეგ გადაფასებული ღირებულებით. გადაფასებული ღირებულებით აღრიცხული გრძელვადიანი ნარგავების პოლიტიკა შეესაბამება გადაფასებული ღირებულებით აღრიცხული ძირითადი საშუალებების პოლიტიკას. გრძელვადიანი ნარგავები ცვდება 30 წლის მომსახურების ვადაზე.

25.8 ბიოლოგიური აქტივები

ჯგუფი ცხოველებს თევზების სახით. ჯგუფი ბიოლოგიური აქტივს აღიარებს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც: ა) ჯგუფი აკონტროლებს ამ აქტივს წარსული მოვლენების შედეგად; ბ) მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის ჯგუფში შემოსვლა ან ჯგუფიდან გასვლა; და გ) შესაძლებელია აქტივის რეალური ღირებულების ან თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (არა-აუდიტირებული)

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

თევზები

ბიოლოგიური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას და ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასებულია გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ბიოლოგიური აქტივის გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისა და ასევე გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების ცვლილების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ჩართულ უნდა იქნეს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

25.9 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე, რომელიც შეადგენს 2-50 წელს. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

25.10 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დე-პოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვა ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

25.11 მოკლევადიანი ინვესტიციები სადეპოზიტო სერტიფიკატებში

განცალკევებულ ფინანსურ ელემენტად წარდგენილი სადეპოზიტო სერტიფიკატები წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში არსებულ ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა აღემატება 3 თვეს, მაგრამ ნაკლებია 12 თვეზე. კომპანია მოკლევადიან სადეპოზიტო სერტიფიკატებს აკლასიფიცირებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებად, ვინაიდან: კომპანიის ბიზნეს მოდელის მიზანია აღნიშნული აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები ითვალისწინებს მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტის გადახდებს. თავდაპირველი აღიარებისას სადეპოზიტო სერტიფიკატები ფასდება რეალური ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები. შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (არა-აუდიტირებული)

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ასეთის არსებობის შემთხვევაში გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია მოგება-ზარალის უწყისში.

25.12 იჯარა

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ▶ ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება; და
- ▶ იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- ▶ იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- ▶ იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- ▶ აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას; და
- ▶ ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

ა) ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ), მისაღები წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;

ბ) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით

გ) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;

დ) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას

ე) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

საიჯარო გადახდები მოიცავს გარკვეულ არსებითად ფიქსირებულ საიჯარო გადახდებს. არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები ისეთი გადახდებია, რომლებიც ფორმის მიხედვით შეიძლება ცვალებადობას ითვალისწინებდეს, მაგრამ, თავისი არსით, გარდაუვალი გადახდებია. არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები იმ შემთხვევაში არსებობს, როდესაც გადახდები იმგვარადაა სტრუქტურირებული, როგორც ცვლადი

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (არა-აუდიტირებული)

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საიჯარო გადახდები, მაგრამ მათთვის დამახასიათებელი არ არის ნამდვილი ცვალებადობა. ამგვარი გადახდები მოიცავს ისეთ ცვალებად პირობებს, რომლებსაც რეალური ეკონომიკური შინაარსი არ გააჩნია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- ▶ საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- ▶ საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- ▶ მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- ▶ იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება საიჯარო ხელშეკრულების ვადას დამატებული ხელმძღვანელობის მიერ გაგრძელების უფლების შეფასების პერიოდზე. აქტივის გამოყენების უფლების პერიოდი მოიცავს 2-15 წელს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა ჯგუფი ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- ▶ მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება გამოყენების სფერო და ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- ▶ იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- ▶ იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (არა-აუდიტირებული)

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტრირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულ ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. საიჯარო გადახდების განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა აფასებს ხელშეკრულების ფიქსირებულ ფასს და არსებითად ფიქსირებულ საიჯარო გადასახდელებს.

მოკლევადიანი იჯარა, ცვლადი საიჯარო გადახდები და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარის მიმართ გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (არა-აუდიტირებული)

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც ასახული არ არის საიჯარო ვალდებულების შეფასებაში იმ პერიოდში, წარდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც წარმოიშვა ამ გადახდების გამომწვევი მოვლენა ან პირობა.

25.13 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება (გარდა გუდვილისა)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი

სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

25.14 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარგალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (არა-აუდიტირებული)

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონვერსიის დანახარჯებზე ხდება საშუალო საწარმოო სიმძლავრის მიხედვით. საშუალო საწარმოო სიმძლავრე არის წარმოების ისეთი დონე, რომლის მიღწევაც საშუალოდ მოსალოდნელია რამდენიმე საწარმოო პერიოდის ან სეზონის განმავლობაში წარმოების ნორმალურ პირობებში, საწარმოო სიმძლავრეების გეგმური შენახვის ზარალის გათვალისწინებით. ჯგუფი იყენებს წარმოების ფაქტობრივ დონეს, თუ იგი უახლოვდება წარმოების საშუალო სიმძლავრეს. წარმოებული პროდუქციის ერთეულზე მისაკუთვნიებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა არ იზრდება დაბალი მწარმოებლურობის ან მოწყობილობების მოცდენების გამო. გაუნაწილებელი ზედნადები ხარჯები ჩაითვლება იმ პერიოდის ხარჯებად, რომელშიც იქნა გაწეული. საანგარიშგებო პერიოდში, რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოების განსაკუთრებულად მაღალი დონე, პროდუქციის ერთეულზე მიკუთვნიებული მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების თანხა იმ ოდენობით მცირდება, რომ არ მოხდეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება თვითღირებულებაზე მაღალი თანხით. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება პროდუქციის ერთეულზე ხდება საწარმოო სიმძლავრეების ფაქტობრივი გამოყენების მიხედვით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტი

ბიოლოგიური აქტივებიდან და ვენახებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქტი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ნაყოფის მიღების მომენტში გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით და აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწყისი აღიარებისას მიღებული შემოსავალი აღიარდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტის მიღებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები ჩამოიწერება პერიოდის ხარჯად.

25.15 ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

25.16 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

25.17 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დე-პოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

25.18 მოკლევადიანი ინვესტიციები სადეპოზიტო სერტიფიკატებში

განცალკევებულ ფინანსურ ელემენტად წარდგენილი სადეპოზიტო სერტიფიკატები წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში არსებულ ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა აღემატება 3 თვეს, მაგრამ ნაკლებია 12 თვეზე. კომპანია მოკლევადიან სადეპოზიტო სერტიფიკატებს აკლასიფიცირებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებად, ვინაიდან: კომპანიის ბიზნეს მოდელის მიხედვით აღნიშნული აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები ითვალისწინებს მხოლოდ ძირითადი თანხისა და დაუფარავ ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტის გადახდებს. თავდაპირველი აღიარებისას სადეპოზიტო სერტიფიკატები ფასდება რეალური ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები. შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ასეთის არსებობის შემთხვევაში გამოკლებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია მოგება-ზარალის უწყისში.

25.19 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დაკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად: „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები). ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკით, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით,

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (არა-აუდიტირებული)

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს და ბანკში არსებულ თანხებს.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს: სესხებს და ობლიგაციებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთგადაფარვა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

25.20 სააქციო კაპიტალი, სახაზინო აქციები და არამაკონტროლებელი წილი

სააქციო კაპიტალი განსაზღვრულია ჯგუფის მფლობელების მიერ. სააქციო კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ აქციებს, რომელსაც აქვს ხმის უფლება და არაგამოსყიდვად პრივილეგირებულ აქციებს, რომელსაც არ აქვს ხმის უფლება. პრივილეგირებული აქციები აღირიცხება სააქციო კაპიტალში, როდესაც გადასახდელი დივიდენდების ოდენობა განისაზღვრება ემიტენტის შეხედულებისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი აღირიცხება ვალდებულებად.

აქციების გაყიდვით მიღებული ანაზღაურება ფასდება რეალური ღირებულებით. ნომინალურ ღირებულებაზე ნამეტით გამოშვებული და გაყიდული აქციებიდან მიღებული თანხები აღირიცხება, როგორც გაუნაწილებელი მოგება, ხოლო აქციების გამოსყიდვაში ნომინალურ ღირებულებაზე მეტი თანხის გადახდა აღირიცხება, როგორც გაუნაწილებელი მოგება. ჯგუფი მფლობელებისგან გამოსყიდულ აქციებს, შემდგომი გაყიდვის მიზნებისთვის აღიარებს გამოსყიდული საკუთარი აქციების მუხლში. იმ შემთხვევაში თუ გამოსყიდვის შემდეგ ჯგუფი აუქმებს აქციებს, აღირიცხება, როგორც სააქციო კაპიტალის შემცირება.

არამაკონტროლებელი წილი არის წილობრივი მონაწილეობა შვილობილ კომპანიებში, რომელიც არ არის ჯგუფის მფლობელობაში. ანგარიშგების თარიღისთვის, არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს არამაკონტროლებელი აქციონერების წილს შვილობილი კომპანიების იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში, შესყიდვის თარიღისთვის, და შესყიდვის თარიღის შემდგომ, უმცირესობის წილს კაპიტალის მოძრაობაში. არამაკონტროლებელის მონაწილეობა წარმოადგენილია კაპიტალის მუხლებში. ზარალი, რომელიც განაწილებულია არამაკონტროლებელ წილზე არ აღემატება არამაკონტროლებელ წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს არ აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი განაწილებულია ჯგუფზე.

სს „ნიკორა მენჯემენტ ჯგუფი“-ს კონსოლიდირებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (არა-აუდიტირებული)

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შვილობილ საწარმოში მშობელი საწარმოს საკუთრების წილის დონეში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს შვილობილ საწარმოზე კონტროლის დაკარგვას, აისახება როგორც საკუთარ კაპიტალზე შესრულებული ოპერაციები.

25.21 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.



სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“

ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი
ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და
ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. კომპანიის მიმოხილვა

მოკლე ისტორია

კომპანია სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“ (ყოფილი სს „ნიკორა“) დაარსდა 1998 წელს ქართული კაპიტალით, როგორც ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანია და უკვე 27 წელზე მეტია კვების პროდუქტების ბაზრის ერთ-ერთი ლიდერია. განვითარებისა და სტრატეგიული ინვესტიციების შედეგად, კომპანია წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს კოლდინგს (ჯგუფს), რომელიც აერთიანებს:

- ▶ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ფართო სუპერმარკეტების ქსელს;
- ▶ ხორცპროდუქტების, ნახევარფაბრიკატების, თევზეულის, რძის ნაწარმის, პურფუნთუშეულის, სალათებისა და კვების სხვა პროდუქტების კომპანიებს;
- ▶ კვების პროდუქტებისა და სასმელების იმპორტიორ/დისტრიბუტორ კომპანიებს;
- ▶ უძრავი ქონების კომპანიებს.

მუდმივი განვითარების, ხარისხის სტანდარტების ზრდის, მომხმარებელთა ლოიალურობის გაზრდის შედეგად „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“ იგივე „NMG“ (Nikora Management Group) უკვე წლებია ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთ ყველაზე ცნობად და ღირებულ ბრენდად საქართველოში. ჯგუფის ძირითადი ბიზნეს მიმართულებებია:

- ▶ საცალო გაყიდვების სუპერმარკეტების ქსელი „ნიკორა“-ს და „ლიბრე“-ს ბრენდით, რომელიც მაღაზიათა რაოდენობით ქვეყნის მასშტაბით ბაზრის ერთ-ერთი ლიდერია;
- ▶ იმპორტისა და სადისტრიბუციო კომპანიები, ერთ-ერთი მსხვილი ბაზარზე;
- ▶ და ხორცპროდუქტების წარმოება, ბაზრის უდავო ლიდერი საქართველოში.

ძირითადი მაჩვენებლები

საოპერაციო მაჩვენებლები:



ბაზრის წილი (FMCG)

18.7%

vs 2024 9M -0.7pp



დასაქმებული

10 287


vs 2025 -6.3%



მაღაზია

685

vs 2025 +11



გაყიდვების ფართობი

121 175 მ²

vs 2025 +2.3%



გამომუშავებული ელექტროენერგია

1 156 MWh

vs 2025 წელი 2 802 MWh



რეციკლირებული ნარჩენი


70%

Next Target: min. 80%

ბაზრის წილი - თბს კაპიტალის ანგარიში, FMCG სექტორის მიმოხილვა 2025 9M VS 2024 9M

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მაჩვენებლები:



შემოსავალი

₾ 834 მლნ

vs 2025 H1 +10.1%



საერთო მოგება

₾ 226 მლნ

vs 2025 H1 +8.7%



საოპერაციო მოგების
მარჟა

1.55%

vs 2025 H1 -1.1pp



საერთო მოგების მარჟა

27.05%

vs 2025 H1 -0.4pp



პერიოდის მოგება

₾ - 0.6 მლნ


vs 2025 H1 -111.6%



სულ აქტივი

₾ 995 მლნ

vs 2025 H1 +23.3%



ვალდებულებისა და
კაპიტალის თანაფარდობა

3.49

vs 2025 H1 +89.4pp



საკრედიტო რეიტინგი

B+ (Negative outlook)

vs 2025 H1 BB- (Outlook Stable)

განვითარების გზა

1998 კომპანიის დაარსება

- ▶ დეკემბერში დაარსდა კომპანია

1999 – 2001 პირველი ნაბიჯები

- ▶ 1999 - იანვარში პირველი პროდუქციის გამოშვება.
- ▶ 2000 - გაიხსნა პირველი მაღაზია.
- ▶ 2001 - შეიქმნა სადისტრიბუციო ქსელი და საქონლის ფორმა გაიხსნა.

2003 – 2004

პროდუქტის დივერსიფიკაცია

- ▶ 2003 - დაემატა თევზის და რძის პროდუქტების წარმოება, საკალმახე მეურნეობა, კომპანია გახდა ყველაზე პოპულარული კვების პროდუქტების მწარმოებელი;
- ▶ 2004 წელს - ნახევარფაბრიკატების წარმოება „მზარეული“-ს ბრენდით, ნაყინის წარმოება.

2005 – 2006 გაფართოება

- ▶ 2005 - კომპანია გაფართოვდა დასავლეთ საქართველოში, დაარსდა „ინტრედი“.
- ▶ 2006 - გაფართოვდა აღმოსავლეთ საქართველოშიც, ღვინის წარმოების შესყიდვა, პალმას საფირმო მაღაზიის გახსნა.

2007 – 2008

კორპორაციული განვითარება

- ▶ 2007 - სს „ნიკორა“-ს დაარსება, ფოთის ოფისის გახსნა.
- ▶ 2008 - ჩვენი ფერმერის და ოკეანეს ბრენდების განვითარება, საკონდიტრო წარმოების ხაზის შესყიდვა, ISO 9001:2008 და ISO 22000:2005 (HACCP) სისტემის დანერგვა.

2009 - 2010

განვითარების ახალი ეტაპი

- ▶ 2009 - ხიზილალის წარმოების დაწყება.
- ▶ 2010 - „მასივი“-ს ქსელის შესყიდვა.

2011 – 2015 სწრაფი ზრდა

- ▶ 2011 – 2013 მაღაზიების ქსელის გაფართოება და მოდერნიზაცია თბილისსა და რეგიონში;
- ▶ 2014 - „სანდვი“-ს, „კი-ბატონი“-სა და „ჰომმარტი“-ს შეძენა, კახეთში და დასავლეთ საქართველოში მაღაზიების მოდერნიზაცია.
- ▶ 2015 - „ნუგეში“-ს და „ლიბრე“-ს შეძენა (ყველაზე დიდი ქსელის სტატუსის მიენიჭა კომპანიას), ცელოფნის პარკების ბიო პარკებით ჩანაცვლება. პირველი ელექტრონული აპლიკაციის გაშვება.

2016 - 2017

ობლიგაციების პირველი ემისია

- ▶ 2016 - პირველად ნიკორა ტრეიდის \$5 მლნ ობლიგაციების წარმატებული ემისია. ჯილდო - „ოქროს ბრენდი“.
- ▶ 2017 - პირველად სს „ნიკორა“-ს \$10 მლნ ობლიგაციების წარმატებული ემისია საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

2018 - 2020

ობლიგაციები ლარში

- ▶ 2018 - სს „ნიკორა ტრეიდი“-ს მიერ 25 მლნ ლარის ობლიგაციის წარმატებული ემისია.
- ▶ 2019 - სს „ნიკორა“-ს მიერ 28 მლნ ლარის ობლიგაციის წარმატებული ემისია.
- ▶ 2020 - სს „ნიკორა ტრეიდი“-ს მიერ წლის საუკეთესო ანგარიშგების ჯილდოს მიღება.



2021 - 2022

ობლიგაციების მორიგი წარმატებული ემისია

- ▶ 2021 - სს „ნიკორა ტრეიდი“-ს 35 მლნ ლარის ობლიგაციის წარმატებული ემისია.
- ▶ 2022 - სს „ნიკორა“-ს მიერ 35 მლნ ლარის ობლიგაციის წარმატებული ემისია.

2023-2024

- ▶ 2023 - შპს „ნიკორა“-ს მიერ ხორცპროდუქტების ახალი თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი საწარმოს მშენებლობა.
- ▶ 2023 - სს „ნიკორა ტრეიდი“-ს მიერ ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი, 6 ათასი მ² ფართობის თანამედროვე ხილ-ბოსტნის საწყობის შეძენა, რაც უზრუნველყოფს ტროპიკული ხილის იმპორტსა და პროდუქციის ცენტრალიზებულ მიწოდებას ადგილობრივი ფერმერებისთვისაც.
- ▶ 2024 - სს „ნიკორა ტრეიდი“-ს მიერ 120 მლნ ლარის ობლიგაციის პირველი ტრანშის, 60 მლნ ლარის გამოშვება, ასევე, წარმატებით დაინერგა კომპანიაში SAP პროგრამა.

2025

- ▶ სს „ნიკორა ტრეიდი“-ს მიერ 60 მლნ ლარის ობლიგაციის (მეორე ტრანშის) გამოშვება, რომელიც სრულად ახალი ლოგისტიკური ცენტრის მშენებლობას მოხმარდება.
- ▶ სს „ნიკორა“-ს მიერ 60 მლნ ლარის ობლიგაციის წარმატებული ემისია.
- ▶ შპს „ნიკორა“-მ, მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩადო ხორცპროდუქტების ახალი საწარმოს მშენებლობაში. საწარმო აღჭურვილია თანამედროვე მანქანა-დანადგარებით. პროექტი დასრულებულია და საწარმო ეტაპობრივად გადადის სრულ სიმძლავრეზე.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“, როგორც ჰოლდინგი, ამჟამად არის საქართველოს ბაზრის ერთ-ერთი ლიდერი კვებითი პროდუქტის წარმოებასა და საცალო ვაჭრობაში, მილიარდ ნახევრიანი ბრუნვის მქონე ბიზნესი, რომელშიც 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით დასაქმებულია 10,287 თანამშრომელი და მოიცავს საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიას.

კომპანიის წარმოებული ხორცპროდუქტები 120-მდე სახეობას მოიცავს, მათ შორის ნედლად შებოლილი პროდუქცია, რომელთა წარმოება მოითხოვს მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ გამოცდილებას და ცოდნას. ჰოლდინგში შემავალი კომპანიები ასევე აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს ისეთ ბაზრებზე, როგორიცაა თევზეულისა და ზღვის პროდუქტების, რძის პროდუქტების, პურფუნთუშეულის წარმოება, აგრეთვე სხვადასხვა საკვებისა და სასმელების იმპორტი-დისტრიბუცია.

2026 წლის 30 ივნისისთვის ქსელში 685 მაღაზია შედის „ლიბრე“-ს და „ნიკორა სუპერმარკეტის“ ბრენდის ქვეშ, სადაც იყიდება ათიათასობით პროდუქცია, მათ შორის, 500-ზე მეტი სახეობა, რომელიც წარმოებულია ჰოლდინგის მიერ.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ჰოლდინგის სტრუქტურა

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ჰოლდინგის სტრუქტურა 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:



* ზემოთ მოცემულ სტრუქტურაში მოცემული მხოლოდ მოქმედი კომპანიები.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შვილობილი კომპანიების მიმოხილვა



ლიბხე libre



სს „ნიკორა ტრეიდი“

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ში შემაგალი ყველაზე მსხვილი სუბიექტია, რომელიც სუპერმარკეტების ქსელს ოპერირებს.

2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანია საქართველოს ბაზარზე წარმოდგენილი იყო 685 მაღაზიითა და 11 კავით.

საგალო გაყიდვები სს „ნიკორა ტრეიდი“-ს სავაჭრო ობიექტებში ხორციელდება „ნიკორა სუპერმარკეტი“-სა და „ლიბრე“-ს (დისკალუნთერი) ბრენდის ქვეშ.

„ჰოთ-დოგ რუმი“ - სწრაფი კვების ბრენდია, რომლის მიზანია სწრაფი, გემრიელი და ხარისხიანი კვება ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადოს.

„ბაღრა“ - ხილ-ბოსტნის მიმართულებით. კომპანია ფლობს 6 ათასი მ² ფართობის თანამედროვე ხილ-ბოსტნის საწყობს, რაც უზრუნველყოფს ტროპიკული ხილის იმპორტსა და პროდუქციის ცენტრალიზებულ მიწოდებას ადგილობრივი ფერმერებისთვის.

„N1“ - (Private Label) საკუთარი სავაჭრო ნიშანია, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ყოველდღიური მოხმარების პროდუქტებს ხელმისაწვდომ ფასად.

„Bonna“ - (Private Label) საკუთარი სავაჭრო ნიშანია, რომელიც საშუალო და მაღალშემოსავლიან მომხმარებლებელზეა გათვლილი.

„Jambo“ - ყავის ბრენდია, რომელიც ახორციელებს მწვანე ყავის მარცვლების იმპორტს, ხალავს მათ ადგილზე და მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა სახის ყავას უნიკალური სწრაფი ჩამოსასხმელი აპარატებით.



მეტაბლე



შპს „ნიკორა“

„ნიკორა“-ს ხორცპროდუქტები 1998 წლიდან იწარმოება და მას შემდეგ სფეროს ლიდერია. „ნიკორა“ გამოირჩევა მრავალფეროვანი ასორტიმენტით, სადაც გაერთიანებულია: სოსისები, სარდლები, მოხარშული, შებოლილი და ნედლად შებოლილი ძეხვეული, შაშხები და სხვა. „ნიკორა“ ჯამში 120-მდე დასახელების პროდუქტს აწარმოებს. ბრენდ „ნიკორა“-ს ქვეშ მოქცეულია 15-მდე დასახელების სოსისი და სარდელი, 10-მდე დასახელების შაშხი და 20-მდე დასახელების ძეხვეული.

„მეტაბლე“ - ხორცპროდუქტების ახალი, ქართული ბრენდია, რომელიც 2025 წლიდან „ნიკორა“-ს მაღალტექნოლოგიურ საწარმოში იქმნება და პრემიუმ ხარისხის ნედლად შებოლილი ძეხვეულის, შაშხების და სოსისების 20-მდე სახეობას აერთიანებს და ეტაპობრივად ასორტიმენტის გაზრდასაც გეგმავს.

„მზარეული“ - ქართული და ევროპული სამზარეულოს ტრადიციულ კერძებს ნახევარფაბრიკატების სახით, 2003 წლიდან აწარმოებს. „მზარეული“-ს პროდუქცია ოჯახში მომზადებული გემრიელი და ხარისხიანი კერძის ღირსეული ალტერნატივაა და ისეთ მრავალფეროვან არჩევანს გვთავაზობს, როგორიცაა: პელმენი, ვარენიკი, კოტლეტი, ბლინი, ნაგეთსი, ხინკალი და სხვა. მზარეულის ასორტიმენტი 30-მდე სხვადასხვა დასახელების პროდუქტს აერთიანებს.

„კულინარი“ - ქართული და ევროპული სამზარეულოს ტრადიციულ კერძებს აერთიანებს მზა პროდუქტების სახით. ასორტიმენტში წარმოდგენილია 40+ სახეობის სალათა და მზა კერძი, რაც მომხმარებელს მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)



შპს „პარტნიორი“

დისტრიბუციის სფეროში ერთ-ერთი მაღალი რეპუტაციის მქონე კომპანიაა, რომელიც აერთიანებს დაახლოებით ათასამდე თანამშრომელს.

„პარტნიორი“-ს საქმიანობა მოიცავს მშრალი, სამაცივრე და გაყინული პროდუქციის ტრანსპორტირებას. ფართო ლოგისტიკური ქსელი კომპანიას საშუალებას აძლევს ეფექტურად მოემსახუროს როგორც საცალო, ისე საბითუმო ვაჭრობას.



შპს „მულტიტრეიდი“

კომპანია ახორციელებს ნედლეულის იმპორტს ხორცპროდუქტების წარმოებისთვის, როგორც გარე ბაზარზე სარეალიზაციოდ, ასევე შპს „ნიკორა“-სა და შპს „კორიდა“-სთვის



შპს „კორიდა“

შპს „ნიკორა“-ს მსგავსად წარმოადგენს „კორიდა“-ს ბრენდის ხორცპროდუქტების და ნახევარფაბრიკატების საწარმოს (დასავლეთ საქართველოში), რომელიც ქართულ ბაზარზე 2007 წლიდან ოპერირებს.

„შეფმასტერი“ - ნედლად შებოლილი ძეხვეულისა და დელიკატესების მწარმოებელი ბრენდია, რომელიც მომხმარებელს გამორჩეული ხარისხის ხორცპროდუქტებს 2023 წლიდან სთავაზობს.

ბრენდის კონკურენტული უპირატესობა წარმოების განსაკუთრებული ტექნოლოგია (30-დღემდე წარმოება), ექსკლუზიური რეცეპტურა და ხარისხის უმაღლესი სტანდარტია. შედეგად, იქმნება ნედლად შებოლილი ძეხვეულის პროდუქცია, რომელსაც წარსული და ისტორია აქვს.

შპს „მზარეული 1“

პურფუნთუშეულისა და საცხობი ნაწარმის მწარმოებელი კომპანიაა, რომელიც „პანე“-ს ბრენდის ქვეშ ოპერირებს.

საწარმო აღჭურვილია თანამედროვე სახის დანადგარებით და პროდუქციის წარმოებისთვის გამოიყენება უმაღლესი ხარისხის ნედლეული, რომელიც, თავის მხრივ, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში მზადდება (ავსტრია, ბელგია, პოლანდია,

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)



შპს „ინტრაიდი“

იმპორტიორი კომპანიაა, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა ცნობილი ბრენდის იმპორტს, კერძოდ:

- ▶ წვენები: „VitaGo“, „პფანერი“, „ნატურალისი“, „ენერგია“, „ალე“, „ჯაფა“;
- ▶ ლუდები: Warsteiner, Grolsch, Pilsner Urquell, Bud, 5.0, Zhigul, Benediktiner, Praga, Schofferhofer, Estrella Galicia, Bitburger, Stiegl;
- ▶ არყები: Хлебная, Parliament, Green Mark, Talka, Russian Standard, Punchclub, Gustav;
- ▶ მაღალ ალკოჰოლური სასმელები: Gibson's, Glen Moray, Label 5, Old Virginia; Cutty Sark, Gautier, Busnel, Bardinet, Sombrero;
- ▶ დაბალ ალკოჰოლური სასმელი: Shake, Royal, Punchclub, Somersby;
- ▶ სნეკები: Lorenz, Master, Gusto, YAW, RiceUp Boomza, Bob Snail, Mogyi,;
- ▶ ხორცპროდუქტები: Campofrio, Greisinger, Negroni, Tarczynski, Snack It, Sokolow;
- ▶ ტკბილეული: Bahlsen, Kellogg's, Milano, Flis, Wedel, Confectum, Gurmex, Freddi, 4You, Jules Destrooper, Caffarel, Bogutti;
- ▶ ზაქალეა: Yonca, Rio Santo, Santa Sophia, Rollton, Oyakata, Uvelka, Sante, Dr. Benner, Loid, და სხვა.

შპს „ნიკორა ბაკურიანი“

დაბა ბაკურიანში მდებარე უძრავი ქონების დეველოპერული კომპანიაა.



თურქეთი). აღნიშნული უზრუნველყოფს პროდუქციის ევროპული სტანდარტებისა და ტექნოლოგიების დაცვით წარმოებას.

შპს „ჩვენი ფერმერი“

„პალომა“ - მრავალწლიანი გამოცდილების ბრენდია, რომელიც საქართველოს ბაზარზე 2005 წლიდან ოპერირებს და მომხმარებელს გამორჩეული გემოს მქონე 20-მდე სახეობის ნაყინს სთავაზობს.

პროდუქციის დასამზადებლად „პალომა“ უმაღლესი ხარისხის ნედლეულს იყენებს და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მწარმოებლებთან თანამშრომლობს. თითოეული სახეობის ნაყინი კარაქსა და შესქელებულ რძეზე მზადდება, რაც მას ნაზ ტექსტურასა და განსაკუთრებულ არომატს სძენს.

„დღის“ - რძის პროდუქტების კომპანია 2003 წელს შეიქმნა და მომხმარებელს მაღალი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა ნაწარმს სთავაზობს. 2017 წლიდან ბრენდი ბაზარზე „დღის პროდუქტების“ სახელწოდებით ოპერირებს.

შპს „ნაფარეულის ძველი მარანი“

ფლობს საკუთარ ვენახებს და ახორციელებს მხოლოდ ყურძნის მოყვანასა და რეალიზაციას.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შპს „ოკეანე“

აწარმოებს ზღვის პროდუქტებს და პრესერვებს. კომპანია წარმოებისას იყენებს, როგორც ჰოლდინგში შემავალი კომპანიის საკალმახე მეურნეობიდან მიღებულ ნედლეულს, ასევე ახორციელებს იმპორტს ნორვეგიიდან, სადაც საუკეთესო კატეგორიის თევზი ბინადრობს. ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების გარდა, კომპანია ასევე ახორციელებს ზღვის პროდუქტების და დელიკატესების იმპორტს.

ძირითადად ასორტიმენტშია: ცოცხალი, შეციებული, ცივად და ცხლად შებოლილი, დამარილებული, ნაკლებმარილიანი, ნახევრად შებოლილი თევზეული, პრესერვებიდან ზღვის დელიკატესები. „კომპანიის“ კალმახის ხიზილალა განსაკუთრებით პოპულარულია ქართველ მომხმარებლებს შორის. ასევე, ასორტიმენტში გამორჩეული ადგილი უჭირავს პრესერვებს, რომლის წარმოებაც საქართველოში პირველად სწორედ „ოკეანე“-მ დაიწყო.



შპს „რეფ ელ“ და „რეფ ბი“

უმრავი ქონების დეველოპერული და მენეჯმენტ კომპანიებია.



შპს „ვაკიჯვრის კალმახი“

საკალმახე მეურნეობა სოფელ ვაკიჯვარში, გურიაში. დაახლოებით 300 ტონა თევზის საწარმოო მოცულობით, რომელიც აგრეთვე აწარმოებს კალმახის ხიზილალას „ოკეანე“-ს საფირმო სახელწოდებით.

შპს „მილა საქართველო“

კომპანია ახორციელებს სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო პროდუქციის იმპორტს.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ჯილდოები და აღიარებები

27 წლის განმავლობაში კომპანიამ მოიპოვა მრავალი ჯილდო და პროფესიული აღიარება, რაც გუნდის ერთგულების, პროფესიონალიზმისა და მომხმარებელთა ნდობის შედეგია.

კომპანია მუდმივად ემსახურება საკუთარ მიზნებს და მისდევს ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორც არის:

- ▶ მომხმარებლებზე ზრუნვა;
- ▶ ხარისხის მართვის თანამედროვე სტანდარტები;
- ▶ თანამშრომლებისთვის სტაბილური და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;
- ▶ და ორიენტაცია ღირებულების შექმნაზე.

ხარისხის მართვის, როგორც წარმოებაში, მათ შორის სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების კუთხით, აგრეთვე გაყიდვებში და ზოგადად მენეჯმენტში, მაღალი სტანდარტების წლების განმავლობაში დაცვის შედეგად „ნიკორა“ არაერთხელ გახდა საქართველოს პრესტიჟული სხვადასხვა ჯილდოს მფლობელი.



„ოქროს ბრენდი“

- 2005, 2009, 2015, 2016, 2017, 2018



- ISO 9001 : 2015 და ISO 22000 : 2018 (HACCP) სისტემების დანერგვა



საუკეთესო წლიური ანგარიშის და გამჭირვალობის ჯილდო (მსხვილი არაფინანსური კომპანიები)

- 2020 (ნიკორა ტრეიდი)



- დარგის ლიდერის ჯილდო (ხორცპროდუქტებისა და თევზების წარმოება) 2015, 2017



- ეროვნული ბიზნეს ჯილდო 2014-2016



- წლის საუკეთესო კომპანია 2013



„ლიდერი კომპანია“

- 2007, 2009, 2013, 2014



- წლის რეპუტაცია და ნდობა 2005



წლის საუკეთესო დეპუტანტი კომპანია (ნახევარფაბრიკატი საკვები)

- 2004




- წლის ყველაზე პოპულარული პროდუქტების მწარმოებელი კომპანია 2003


სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ბიზნეს მოდელი

ჰოლდინგში შემავალი, სრულად კონსოლიდირებული და ვერტიკალურად ინტეგრირებული შვილობილი, კომპანიები წარმოადგენენ საოპერაციო ერთეულებს, რომლებიც კონცენტრირებას ახდენენ ბიზნესის კონკრეტულ მიმართულებაზე. ვერტიკალური ინტეგრაცია საშუალებას აძლევს სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს, როგორც ჰოლდინგს, თითოეულ ერთეულში მიაღწიოს რესურსების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტიანობას. ამავდროულად, „კომპანია“ დამატებით სარგებელს იღებს საკუთარ საცალო ვაჭრობის ქსელში შვილობილების პროდუქციის გაყიდვის გზით.

კომპანიის ბიზნესი რამდენიმე პირობით კომპონენტად შეიძლება დაიყოს, რომელთა ერთობლიობითაც ჰქმნის ღირებულებას ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი (NMG):



საცალო ვაჭრობა		დისტრიბუცია	
	სს „ნიკორა ტრეიდი“ ▶ ნიკორა სუპერმარკეტი ▶ ლიბრე		შპს „პარტნიორი“
წარმოება			
	ხორცპროდუქტები ▶ შპს „ნიკორა“ ▶ შპს „კორიდა“		პურფუნთუშეული შპს „მზარეული 1“

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

 ზღვის პროდუქტები შპს „ოკეანე“	 რძის ნაწარმი შპს „ჩვენი ფერმერი“
იმპორტი  სასმელი და საკვები პროდუქტი შპს „ინტრეიდი“  ხორცის ნედლეული შპს „მულტიტრეიდი“  საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო პროდუქცია შპს „მილა საქართველო“	აგრონომიული მეურნეობა  ვენახები შპს „ნაფერეულის ძველი მარანი“  საკალმახე მეურნეობა შპს „ვაკიჯვრის კალმახი“ უძრავი ქონების მართვა  ▶ შპს „რეფ ელი“ ▶ შპს „რეფ ბი“ ▶ შპს „ნიკორა ბაკურიანი“

საგალო ვაჭრობის და კვების პროდუქტების, კერძოდ კი ხორცპროდუქტების წარმოების მიმართულებები ის ძირითადი ბირთვია, სადაც „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს მთავარი კონკურენტული უპირატესობა გააჩნია ბაზარზე და შესაბამისად, კომპანიისთვის წარმოადგენს მოგების მთავარ წყაროს.

ხორცპროდუქტების და მათი ნახევარფაბრიკატების წარმოებაში ჩართული არიან შპს ნიკორა და შპს კორიდა, რომელთა პროდუქცია, აღნიშნული კომპანიების მრავალწლიანი სპეციალიზაციის შედეგად, სულ უფრო და უფრო მზარდი მოთხოვნით სარგებლობს ბაზარზე. ნიკორას ხორცპროდუქტების, როგორც ბრენდის, პოპულარიზაციას და მიმზიდველობას, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ნიკორას სუპერმარკეტების ფართო ქსელი. მეორეს მხრივ სავაჭრო ობიექტების სიმრავლე და აგრეთვე ფართო არეალი საშუალებას აძლევს წარმოების შვილობილ კომპანიებს მყისიერი რეაგირება მოახდინონ მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე, პრეფერენციების ცვლილებაზე; შედეგად მიიღწევა მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდა და მაღალ დონეზე შენარჩუნება, როგორც პროდუქციის კუთხით, ასევე გაყიდვების სერვისის თვალსაზრისით.

ჰოლდინგში შემავალი კვების პროდუქტების სხვა მწარმოებელი კომპანიები (შპს „ოკეანე“, „ჩვენი ფერმერი“, „მზარეული 1“, „კულინარი“ - ახლა უკვე შპს „ნიკორა“ (2025 წლის მაისის შემდგომ ნიკორამ შეითავსა კულინარის საქმიანობა), „ვაკიჯვრის კალმახი“) ერთის მხრივ დამატებითი შემოსავლის წყაროს წარმოადგენენ, მაგრამ აგრეთვე ქმნიან ჰოლდინგის მდგრადობის და კონკურენტული უპირატესობის გაძლიერების დამატებით ბერკეტს - მცირდება რა დამოკიდებულება მომწოდებლებზე, ნიკორას სუპერმარკეტებისთვის და უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში ჩნდება ბერკეტი მინიმალური ფასების მიღებისთვის მომწოდებლებისგან, რაც

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)


შემდგომში გაყიდვების ზრდის უმთავრეს წინაპირობას ქმნის - შევთავაზოთ მომხმარებლებს მაღალი სარგებელი/ღირებულების (benefit/value) პროდუქცია.

ჰოლდინგი ანალოგიური ბიზნეს მოდელით ახდენს სასმელების (გამაგრებელი და ალკოჰოლური) და სხვადასხვა საქონლის იმპორტს, რაც შვილობილი კომპანია შპს „ინტრედი“-ს მეშვეობით ხორციელდება. საკუთარი გაყიდვის ობიექტების რიცხოვნობის და ფართო არეალის საფუძველზე (და აგრეთვე მძლავრი შვილობილი სადისტრიბუციო კომპანიების შესაძლებლობების გათვალისწინებით) მიაღწია იმპორტის იმ მასშტაბს, რამაც საშუალება მისცა კომპანიას სასმელების სეგმენტშიც მიეღო დაბალი ფასები მომწოდებლებისგან და აგრეთვე ექსკლუზიური იმპორტიორი გამხდარიყო რიგი პროდუქციის სახეობების საქართველოში.

ხორცპროდუქტების წარმოებისთვის კომპანია თავად ახდენს საჭირო ნედლეულის იმპორტს შპს „მულტიტრედი“-ს მეშვეობით. ხორცპროდუქტების წარმოების მასშტაბიდან გამომდინარე მიიღწევა დაბალი ფასები ნედლეული იმპორტისთვის.

მძლავრი შვილობილი სადისტრიბუციო კომპანია, შპს „პარტნიორი“, ახორციელებს სხვა შვილობილი კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციისა და იმპორტირებული საქონლის დისტრიბუციას, როგორც გარე, ასევე შიდა ნიკორას სავაჭრო ობიექტებშიც.


„ნიკორას ტრედი“-ს სავაჭრო ობიექტების რაოდენობა:




* კაფეების გარეშე

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სავაჭრო ობიექტების რაოდენობა ფართობის მიხედვით:



სავაჭრო ობიექტების ფართობი (ჯამში მ²) და რაოდენობა სხვადასხვა ფორმატის და წლების მიხედვით:



ამ ეტაპზე კომპანია ძირითად შესყიდვებს ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე. მისი მომწოდებლები არიან, როგორც ადგილობრივი მწარმოებლები, ქართული იმპორტიორი და სადისტრიბუციო კომპანიები, ასევე საერთაშორისო სადისტრიბუციო კომპანიები. მთლიანი შესყიდვის ნაწილი ხდება ცენტრალიზებულად. პროდუქციის ძირითადი ნაწილის დისტრიბუციას სავაჭრო ობიექტებში თვითონ მომწოდებლები ახდენენ.


სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კომპანია ფლობს ძირითად (თბილისი) და რეგიონულ (დასავლეთ საქართველო, კახეთის რეგიონი) საწყობებს, ასევე სადისტრიბუციო მანქანებს, რომლითაც უზრუნველყოფს ცენტრალიზებული წესით შესყიდული საქონლის დისტრიბუციას. პროდუქციის გასაყიდი ფასი ფორმირდება დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლების და კონკურენტული გარემოს გათვალისწინებით.

კომპანიას ასეულობით სადისტრიბუციო ავტომობილი გააჩნია, რომელთა მეშვეობით იგი მუდმივად ახდენს მაღაზიებში საქონლის შევსებას რათა არ მოხდეს გაყიდვების შეფერხება.

მსხვილი შესყიდვების დროს „კომპანია“ ცდილობს მომწოდებლების დიდი დიაპაზონისგან მიიღოს საუკეთესო ფასები და ხარისხი. „კომპანია“ შესყიდვების პროცესის დროს უზრუნველყოფს რომ შეიქმნას კონკურენტული გარემო პოტენციურ კონტრაქტორებს შორის რათა „კომპანიამ“ საუკეთესო საბაზრო ფასს მიაღწიოს.

„ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ოპერაციათა რუკა საქართველოს მასშტაბით:



სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

განვითარების სტრატეგია

„ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“ (ჰოლდინგი) უმთავრესად მისი შვილობილი კომპანია სს „ნიკორა ტრეიდი“, რომელიც წარმოადგენს დარგის ერთ-ერთ ლიდერს სავაჭრო ობიექტების რაოდენობისა და გეოგრაფიული განშლის მიხედვით, გეგმავს ძირითადი რესურსები მოახმაროს სავაჭრო ქსელის განვითარებას. იგეგმება სავაჭრო ობიექტების კონცენტრაციის გაზრდა როგორც ათვისებულ ლოკაციებში, ასევე ისეთ ადგილებში სადაც ქსელი ნაკლებადაა წარმოდგენილი. შესაბამისად „კომპანიას“ მიეცემა საშუალება სწრაფი ტემპებით შექმნას გრძელვადიანი მდგრადი განვითარების მყარი საფუძველი, გაიმყაროს დარგის ლიდერის პოზიციები, გაზარდოს ბაზრის წილი და გახდეს უფრო ეფექტური. ახალი მაღაზიების გახსნით „კომპანია“ მოელის გაყიდვების ზრდას, როგორც ბაზრის ზრდასთან ერთად აგრეთვე დამოუკიდებელი სავაჭრო ობიექტების ბაზრის წილის დაკავებით. ინდივიდუალური სავაჭრო ობიექტებისგან განსხვავებით „კომპანიას“ თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე შეუძლია უკეთესი პირობები და ფასები მიიღოს მომწოდებლებისგან და შედეგად უკეთესი პირობები შესთავაზოს მომხმარებელს. ასევე აქტიურად მიმდინარეობს ხორცპროდუქტების ახალი საწარმოს მშენებლობა და სრული გადაიარაღება, რაც წარმადობას და ხარისხს მნიშვნელოვნად გაზრდის.

ასევე, დღეისთვის „ნიკორა ტრეიდი“ წარმოადგენს დარგის ერთ-ერთ ლიდერს სავაჭრო ობიექტების რაოდენობისა და გეოგრაფიული განშლის მიხედვით. კომპანია გეგმავს, რომ ძირითადი რესურსები მოახმაროს სავაჭრო ქსელის განვითარებას. იგეგმება სავაჭრო ობიექტების კონცენტრაციის გაზრდა როგორც ათვისებულ ლოკაციებში, ასევე ისეთ ადგილებში სადაც ქსელი ნაკლებადაა წარმოდგენილი. შესაბამისად ნიკორა ტრეიდს მიეცემა საშუალება სწრაფი ტემპებით შექმნას გრძელვადიანი მდგრადი განვითარების მყარი საფუძველი, გაიმყაროს დარგის ლიდერის პოზიციები, გაზარდოს ბაზრის წილი და გახდეს უფრო ეფექტური. ახალი მაღაზიების გახსნით კომპანია მოელის გაყიდვების ზრდას როგორც ბაზრის ზრდასთან ერთად აგრეთვე დამოუკიდებელი სავაჭრო ობიექტების ბაზრის წილის დაკავებით. ინდივიდუალური სავაჭრო ობიექტებისგან განსხვავებით, კომპანიას, თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე შეუძლია უკეთესი პირობები და ფასები მიიღოს მომწოდებლებისგან და შედეგად უკეთესი პირობები შესთავაზოს მომხმარებელს. 2026 წლის პირველ ნახევარში კომპანიამ 25 ახალი მაღაზია გახსნა, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

უძრავი ქონების სეგმენტში ჰოლდინგისა და შვილობილების მიზანია საცალო სავაჭრო ქსელების განვითარებისთვის, უძრავი ქონების შეძენა-მართვა და ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში გაყიდვა. „კომპანიის“ სტრატეგია მოიცავს უძრავი ქონების ხელსაყრელი პირობებით შეძენას, ხოლო შესაბამისი მყიდველის პოვნის შემდეგ, „კომპანია“ ქონებას ყიდის გრძელვადიანი საიჯარო კონტრაქტით (Sell-leaseback ტრანზაქციით).

გარდა ამისა, „კომპანია“ გეგმავს რიგი მიმართულებების განვითარებას:

- ▶ **ახალი ლოგისტიკური ცენტრის მშენებლობა:** ამ ეტაპზე „კომპანია“ ძირითად შესყიდვებს ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე. მისი მომწოდებლები არიან, როგორც ადგილობრივი მწარმოებლები, იმპორტიორი და სადისტრიბუციო კომპანიები, ასევე საერთაშორისო სადისტრიბუციო კომპანიები. პროდუქციის ძირითადი ნაწილის დისტრიბუციას სავაჭრო ობიექტებში თვითონ მომწოდებლები ახდენენ. ახალი ლოგისტიკური ცენტრი საშუალებას მისცემს კომპანიას პროდუქციის 80%-მდე ცენტრალიზებული წესით შესყიდოს და თავად განახორციელოს დისტრიბუცია მაღაზიებში. ცენტრალიზაციის გაზრდა „კომპანიას“ მისცემს კომერციული პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობას. ასევე „კომპანია“ გეგმავს მაღაზიების ღამით მომარაგების რეჟიმზე გადასვლას, რაც შეამცირებს ლოგისტიკურ ხარჯებს, მათ შორის საწვავის მოხმარებას და გარემოზე მავნე ზეგავლენას, რაც პირდაპირ თანხვედრაშია კომპანიის მდგრადი განვითარების და ESG სტრატეგიასთან.
- ▶ **„დისკაუნტერი მაღაზიები“ (soft discounter store):** ამ კონცეფციის მაღაზიებით „კომპანია“ უკვე რამდენიმე წელია წარმატებების ოპერირებს ბაზარზე. 2023/2024 წლები კომპანია აქტიურად მუშაობდა ამ ფორმატის მაღაზიების დახვეწაზე და ტრანსფორმაციაზე შედეგად 2024 წლის მაისიდან მომხმარებლებს შესთავაზა ახალი ფორმატის „ლიბრეს“ ბრენდის მაღაზიები. განახლდა ფილიალების იერსახე, ცვლილებები შევიდა ასორტიმენტში, მეტი აქცენტი დაეთმო ფრეშ და ადგილზე გამომცხვარ პროდუქტებს და კიდევ უფრო კომფორტული გახდა მომხმარებლისთვის ყოველდღიური სტუმრობა ტრანსფორმირებულ ფილიალებში. გადაიხედა საფასო პოლიტიკა და მომხმარებლებისთვის პროდუქცია უფრო მეტად ხელმისაწვდომი

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გახდა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში იგეგმება ყველა ფილიალის განახლება და უფრო მეტი კონკურენტული უპირატესობის მოპოვება ბაზარზე. უახლოეს მომავალში იგეგმება ლიბრეს ლოიალობის პროგრამის დაწესება ასევე აპლიკაციისა და საიტის შექმნა. მომდევნო პერიოდის ძირითადი მიმართულებებია:

- ▶ სამომხმარებლო კალათის გაძლიერება – სოციალურად მნიშვნელოვანი პროდუქტების მუდმივი ხელმისაწვდომობა ქსელში და მათი ფასების კონკურენტულ დონეზე შენარჩუნება;
- ▶ ოპერაციული ეფექტურობის ზრდა – პლანოგრამების გამარტივება და ხელახალი ოპტიმიზაცია, ასევე პროდუქციის განთავსების უფრო ეფექტური მოდელის დანერგვა (მათ შორის, ყუთებით წარმოდგენა), რაც შეამცირებს საოპერაციო ხარჯებს. მიღებული ეფექტი გადამისამართდება საბოლოო ფასების გაუმჯობესებაზე.
- ▶ საკუთარი სავაჭრო ნიშნით გამოშვებული პროდუქციის განვითარება (Private Label): პროდუქციის საკუთარი სავაჭრო ნიშნით გამოშვება/გაყიდვა იძლევა ფასების ოპტიმიზაციის საშუალებას. „კომპანიას“ უკვე აქვს საკუთარი სავაჭრო ნიშნით გამოშვებული პროდუქტები, რომელიც „N1“-ის ბრენდის სახელით გამოდის. „N1“ ბაზარზე პოზიციონირებულია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ფასის მქონე, რაც ზრდის მომხმარებლებისთვის ასორტიმენტის ამ ნაწილის ხელმისაწვდომობას, „კომპანიას“ კი საშუალებას აძლევს მოიზიდოს მეტი მომხმარებელი. მიმდინარე წლიდან კომპანიამ დაამატა ახალი ბრენდი „Bonna“, რომელიც გათვლილი არის საშუალო და მაღალ შემოსავლიან მომხმარებელზე. ახალი ბრენდი სთავაზობს მომხმარებელს კატეგორიის ცნობილი ბრენდების მსგავს პროდუქტების იდენტური ხარისხით და უფრო ხელმისაწვდომ ფასად. „ნიკორა ტრეიდი“-ს მიზანია დამატებით განავითაროს საკუთარი სავაჭრო ნიშნით გამოშვებული პროდუქტები. PL-ის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში კომპანია გეგმავს: Bonna ბრენდის ქვეშ დამატებით უნიკალური პროდუქტის ჩაშვებას, ლიბრეს ქსელისთვის ახალი Private Label ბრენდის შექმნას და ექსკლუზიური ასორტიმენტის განვითარებას და მომხმარებლის ლოიალურობის გაძლიერებას.
- ▶ ხილბოსტნის მიმართულების განვითარება: 2023 წელს კომპანიამ შეიძინა ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ხილ-ბოსტნის საწყობი რომლის საერთო ფართი შეადგენს 6 ათასი კვ.მ. და აღჭურვილია თანამედროვე მაცივრებით და მოსამწიფებელი კამერებით. ახალმა საწყობმა საშუალება მისცა კომპანიას დაეწყო ტროპიკული ხილის იმპორტი და განეხორციელებინა პროდუქციის ცენტრალიზებული მიწოდება მაღაზიებში უწყვეტი ცივი ჯაჭვის შენარჩუნებით. ცენტრალიზაციამ გაზარდა პროდუქციის ხარისხი ასევე შესაძლებლობა მისცა ადგილობრივ ფერმერებს პროდუქტი მიეწოდებინათ ერთ ლოკაციაზე. სამომავლოდ კომპანია გეგმავს ფერმერებისგან შესყიდული პროდუქციის შეფუთვის და მაღაზიებში მიწოდებას, რაც გაზრდის პროდუქციის ვარგისიანობის პერიოდს, შეუნარჩუნებს პროდუქტს ხარისხს და იერსახეს. საერთო ჯამში ზემოთხსენებული ქმედებები შეამცირებს ხილბოსტნის დანაკარგებს.
- ▶ კომპანიის ციფრული ტრანსფორმაცია: „კომპანია“ აქცენტს აკეთებს პროცესების ავტომატიზაციასა და მათი მართვის ციფრულ ფორმატში გადატანაზე. კომპანიას დანერგილი აქვს SAP - მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი მართვის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნეს-პროცესების მდგრადობას, მონაცემთა მთლიანობასა და ოპერაციული მართვის სტაბილურობას. ამ პლატფორმის ბაზაზე კომპანია გააგრძელებს ტრანსფორმაციას შემდეგი მიმართულებებით:
- ▶ ავტო-შეკვეთების სისტემა: მაღაზიების მომარაგების ავტომატიზებული მართვა მარაგების ოპტიმიზაციისა და პროდუქციის მაღალი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;
- ▶ ხელოვნური ინტელექტის (AI) ინტეგრაცია: მონაცემთა ანალიტიკის გამოყენება მოთხოვნის პროგნოზირების, ფასწარმოქმნის, ასორტიმენტის მართვისა და დანაკარგების კონტროლისთვის;
- ▶ მონაცემებზე დაფუძნებული მართვა: ახალი ციფრული გადაწყვეტილებების დანერგვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაცემთა წილის გასაზრდელად;
- ▶ სერვისის ავტომატიზაცია: მსხვილფორმატიან მაღაზიებში თვითმომსახურების ტერმინალების აქტიური გავრცელება საკასო პროცესების ეფექტურობისა და მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესების მიზნით.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)


- ▶ **განახლებადი ენერგია:** კომპანია კვლავ გეგმავს დამატებით რამდენიმე მცირე (100 kW-მდე) და საშუალო სიმძლავრის (დაახლოებით 500 kW) მზის პანელების მშენებლობას და ექსპლუატაციაში გაშვებას. კომპანია აქტიურად გააგრძელებს გარემოზე ზრუნვას და უზრუნველყოფს დადგენილი სიმძლავრის პორტფელის ზრდას, ეს იქნება მაღაზიებსა თუ საწყობებზე.
- ▶ **ხორცპროდუქტების წარმოების განვითარება:** ჯგუფში შემავალმა კომპანიამ, შპს „ნიკორა“-მ, მნიშვნელოვანი ინვესტიცია ჩადო ხორცპროდუქტების ახალი საწარმოს მშენებლობაში. საწარმო აღჭურვილია თანამედროვე მანქანა-დანადგარებით. პროექტი დასრულებულია და საწარმო ეტაპობრივად გადადის სრულ სიმძლავრეზე.

ძირითადი სექტორის მიმოხილვა

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ძირითადი შემოსავალი შეიღობილ კომპანიებთან ტრანზაქციები წარმოადგენს, რომლებიც ჩართულნი არიან კვების პროდუქტების წარმოების, საცალო ვაჭრობის, იმპორტისა და დისტრიბუციის საქმიანობებში. საცალო ვაჭრობა და ხორცპროდუქტების წარმოება ბიზნესის უმთავრეს საქმიანობას წარმოადგენს. შედეგად, საკვებით საცალო ვაჭრობა და ხორცპროდუქტების წარმოება „კომპანიისთვის“ წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან საინვესტიციო ბაზარს საქართველოში.

თიბისი კაპიტალის კვლევის (2025 წლის) თანახმად, 2025 წელს თანამედროვე FCMG ბაზრის 87%-მდე უმსხვილეს ხუთ კომპანიაშია თავმოყრილი:

თანამედროვე FCMG ბაზრის შემოსავლების გადანაწილება კომპანიების მიხედვით, 2025
%, წილი



წყარო: თბს კაპიტალი, FCMG სექტორის მიმოხილვა 2025 და 1 კვ. 2026

ჰოლდინგში შემავალი სს „ნიკორა ტრეიდი“ ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად იკავებს ორგანიზებული საცალო სასურსათო ბაზრის ერთ-ერთი ლიდერის პოზიციას.

ბაზრის ძირითადი მოთამაშეები:

- ▶ **კარფური** - წარმოადგენს ფრანგულ საერთაშორისო ბრენდს, რომელსაც საქართველოში Majid Al Futtaim Group-ი ოპერირებს. კარფურის პირველი ჰიპერმარკეტი 2012 წელს გაიხსნა საქართველოში და 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბაზარზე 97 სავაჭრო ობიექტით იყო წარმოდგენილი. კარფური ყიდის როგორც ზოგად პროდუქციას, ასევე კერძო ლეიბლებს;
- ▶ **ორი ნაბიჯი** - 2009 წელს დაარსებული ადგილობრივი ბრენდი. ქსელი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბაზარზე 638 სავაჭრო ობიექტით იყო წარმოდგენილი. ორი ნაბიჯი უბნის მაღაზიების სტრატეგიით ვითარდება და მისი მფლობელები ადგილობრივი მეწარმეები არიან;
- ▶ **დეილი ჯგუფი** - კონკურენციის სააგენტოს მიერ 2024 წელს გაცემული ნებართვების შედეგად, "დეილის" ჯგუფი აერთიანებს "სპარის", "იოლის", "დეილის", "კალათას", "გვირილასა" და "მაგნიტის" ქსელებს. თიბისი კაპიტალის თანახმად 2026 წლის 1 კვარტლის მდგომარეობით ქსელი ფლობს ორგანიზებული ბაზრის 32.5%-იან წილს და წარმოდგენილია 1,411 სავაჭრო ობიექტით;


სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

- ▶ **გუდვილი** - არის პირველი ქართული ჰიპერმარკეტების ქსელი და ამჟამად ბაზარზე წარმოდგენილია 9 მაღაზიით, მათ შორის 7 ლოკაცია აქვს თბილისში, 2 კი - ბათუმში;
- ▶ **ევროპროდუქტი** - ადგილობრივი ბრენდია, რომელიც 2004 წლიდან არსებობს და საქმიანობა იმპორტიორად დაიწყო. ამჟამად კომპანია ბაზარზე 41 მაღაზიითაა წარმოდგენილი. კომპანია გეგმავს ქვეყნის მასშტაბით გაფართოვებას;
- ▶ **აგროჰაბი** - პრემიუმ სეგმენტის ქსელია, ძირითადად დიდი ზომის 9 სუპერმარკეტით არის წარმოდგენილი. ეს კომპანია პრემიალური პროდუქტებით საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე მომხმარებელს იზიდავს.

სწრაფად ბრუნვადი პროდუქციის ბაზრის ზრდის პოტენციალზე მიუთითებს ბაზრის რეგიონული განაწილება. თანამედროვე FMCG ბაზარი რეგიონებში უფრო გაფართოვდა, თუმცა ასევე გრძელდება თბილისში ახალი ობიექტების დამატება. ერთ მ²-ზე ნავაჭრის კუთხით კვლავ თბილისი ლიდერობს, რასაც მაღალი წლიური ზრდაც უწყობს ხელს.

მაღაზიების რაოდენობა და ყოველთვიური ნავაჭრი ერთ კვ.მ-ზე, 2025

რაოდენობა, ლარი (დღგ-ის გამოკლებით), %




წყარო: თბს კაპიტალი, FMCG სექტორის მიმოხილვა 2025 და 1 კვ. 2026

თანამედროვე FMCG ბაზრის წილმა 2025 წელს ზრდა განაგრძო, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში, თუმცა მამოძრავებელ ძალად კვლავ რეგიონალური გაფართოება ნარჩუნდება:

თანამედროვე FMCG ბაზრის წილი მთლიან FMCG ბაზარში რეგიონების მიხედვით

%, წილი



წყარო: თბს კაპიტალი, FMCG სექტორის მიმოხილვა 2025 და 1 კვ. 2026

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2. ფინანსური მაჩვენებლები

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ფინანსური ანგარიშგება შეიცავს ყველა შვილობილი კომპანიის ფინანსურ შედეგებს მათზე კონტროლის მოპოვების დღიდან. „ჯგუფის“ არსებული სტრუქტურა ვერტიკალური ინტეგრაციიდან გამომდინარეობს და „ჯგუფი“ მნიშვნელოვან სარგებელს ნახულობს შვილობილებს შორის ვაჭრობის გზით. ამ ურთიერთობებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული ნამეტები ელიმინირდება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით 2013 წლიდან.

კონსოლიდირებული მოგება-ზარალის შუალედური ანგარიშგება:

	2026 (ექვსი თვე)	2025 (ექვსი თვე)
ამონაგები	834 119	757 722
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(608 520)	(550 105)
საერთო მოგება	225 599	207 617
სხვა შემოსავალი	904	895
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	(185 632)	(164 366)
ადმინისტრაციული ხარჯები	(28 265)	(25 478)
სხვა მოგება/(ზარალი) ნეტო	311	1 544
მეკავშირე კომპანიისგან მიღებული მოგების წილი	139	-
ფინანსური შემოსავალი	3 272	470
ფინანსური ხარჯები	(21 824)	(16 390)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან ნეტო	5 964	1 815
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	468	6 107
მოგების გადასახადის ხარჯი	(1 024)	(1 298)
პერიოდის მოგება/(ზარალი)	(556)	4 809
პერიოდის მოგება/(ზარალი) მიკუთვნებული		
მფლობელებსა და მშობელ კომპანიაზე	(436)	4 863
არამაკონტროლებელ წილის მფლობელებზე	(120)	(54)

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის შუალედური ანგარიშგება:

	30.06.2026	31.12.2025
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
გუდვილი	43 618	43 618
ძირითადი საშუალებები	324 329	321 196
აქტივების გამოყენების უფლება	193 239	191 739
არამატერიალური აქტივები	13 634	13 275
ბიოლოგიური აქტივები	899	999
სხვა გრძელვადიანი აქტივები	3 492	2 999
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივად კონტროლირებად კომპანიებში	268	268
სულ გრძელვადიანი აქტივები	579 479	574 094
მიმდინარე აქტივები		
მარაგები	253 061	239 699
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	50 539	51 674
სადეპოზიტო სერთიფიკატები	15 501	27 881
ფული და ფულის ეკვივალენტები	96 560	86 157
სულ მიმდინარე აქტივები	415 661	405 411
სულ აქტივები	995 140	979 505
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი	6 471	6 471
პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი	22 715	22 715
გამოსყიდული საკუთარი აქციები	(417)	(417)
გადაფასების რეზერვი	31 562	31 562
დაგროვილი მოგება/(ზარალი)	154 985	160 994
არამაკონტროლებელი წილი	6 438	7 464
სულ კაპიტალი	221 754	228 789
გრძელვადიანი ვალდებულებები		
ობლიგაციები და სესხები.	289 842	282 509
საიჯარო ვალდებულებები.	153 565	151 867
გადავადებული შემოსავალი	2 537	2 537
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	445 944	436 913
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	248 293	238 088
ობლიგაციები და სესხები	45 594	39 638
საიჯარო ვალდებულებები	33 555	36 077
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	327 442	313 803
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	995 140	979 505

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილების შუალედური ანგარიშგება:

	ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი	პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი	სახაზინო აქციები	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება/ (ზარალი)	სულ სათაო კომპანიის მფლობელებს	არამაკონტროლებელი წილი	სულ
31 დეკემბერი 2024	6 471	22 702	(417)	36 858	154 108	219 722	7 225	226 947
პერიოდის მოგება	-	-	-	-	4 863	4 863	(54)	4 809
დ) შეაფასოს გარე აუდიტორის ეფექტიანობა, გამოთქვას მოსაზრება გარე აუდიტორთა კანდიდატურებთან დაკავშირებით, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერებს/პარტნიორებს მათ კანდიდატურებთან, დანიშვნასთან, ანაზღაურებასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით; (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "g" და "h" ქვეპუნქტები);

ე) შეაფასოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობა და დამოუკიდებლობა; (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "j" ქვეპუნქტი);

ვ) უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, დამოუკიდებლობა და ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა; (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "j" ქვეპუნქტი);

ზ) განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს დირექტორთა საბჭოს მიერ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შესაბამისი ზომების გატარებას (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "k" ქვეპუნქტი);

თ) განიხილოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ჩასატარებელი შიდა აუდიტის ფარგლები და ჩატარების სიხშირე; (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "l" ქვეპუნქტი);

ი) მიიღოს შიდა აუდიტის ანგარიშგებები და უზრუნველყოს საწარმოს დირექტორთა საბჭოს მხრიდან სათანადო ღონისძიებების დროულად გატარება აუდიტის პროცესში ან კონტროლის სხვა ფუნქციების მიერ იდენტიფიცირებული კონტროლის სისუსტეების, კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "m" ქვეპუნქტი);

კ) მონიტორინგი გაუწიოს საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "n" ქვეპუნქტი);

ლ) განიხილოს საწარმოს რისკების მართვის მთლიანი ჩარჩო და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობა და სტრუქტურა, მათ შორის, განიხილოს მესამე პირთა მოსაზრებები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.1.1. პუნქტის "o" ქვეპუნქტი);

აუდიტის კომიტეტის დებულებით გათვალისწინებული უფლებების შეფასებით მის წევრებს მუდმივად აქვთ სრული წვდომა დირექტორთა საბჭოს, შიდა აუდიტისა და რისკების მართვის ფუნქციებთან. იგი ყოველწლიურად უნდა განიხილავდეს გარე აუდიტორთა დამოუკიდებლობას და ამჟღავნებდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) გარე აუდიტორებზე მთლიანი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაცემული ანაზღაურების შესახებ (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.5.1. ქვეპუნქტი);

ბ) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აუდიტორული და სხვა სახის მომსახურებებზე გაცემული ანაზღაურების ელემენტებს ან შესაბამის უარყოფით მოსაზრებას საწარმოს წლიურ ანგარიშში. თუ გარე აუდიტორები, გარდა აუდიტორული მომსახურებისა, იმავდროულად უზრუნველყოფენ საწარმოსთვის სხვა სახის მომსახურების გაწევას, აუდიტის კომიტეტი უნდა განიხილავდეს ამ მომსახურებათა შინაარსსა და ფარგლებს და უზრუნველყოფდეს ობიექტურობის შენარჩუნებას და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.5.2 ქვეპუნქტი);

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საწარმოში არ არის შექმნილი **რისკების კომიტეტი** და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს აქვს შეთავსებული შესაბამისი ფუნქციების შესრულება, მათ შორის:

ა) განიხილავს რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ჭრილში და აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.6.1 ქვეპუნქტი);

ბ) ამზადებს ანგარიშგებას საწარმოში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს საწარმოს რისკის პოლიტიკას, სულ მცირე ყოველწლიურად (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.6.2 ქვეპუნქტი);

გ) მონიტორინგს უწევს დირექტორატის/აღმასრულებელი დირექტორის მხრიდან საწარმოს საქმიანობის რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.6.3 ქვეპუნქტი);

დ) რისკის სტრატეგიებისა და სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე რეკომენდაციების გაცემა (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.6.4 ქვეპუნქტი).

რისკების მართვის კომიტეტის ნაცვლად სამეთვალყურეო საბჭო იღებს შესაბამის ანგარიშგებას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისგან საწარმოს მიმდინარე რისკის პროფილის, რისკის კულტურასთან დაკავშირებით შესაბამისი აქტივობების, საზღვრების, საზღვრების დარღვევებისა და მიტიგაციის გეგმებთან დაკავშირებით (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.6.5 ქვეპუნქტი).

რისკების მართვის კომიტეტის ნაცვლად სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს ყველა სახის რისკის, მათ შორის, ახლადგამოვლენილი რისკების გათვალისწინებას და ასევე ნებისმიერი სახის საჭირო შესწორებების შეტანას საწარმოს რისკის მართვის ჩარჩოში (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.6.6 ქვეპუნქტი).

რისკების მართვის კომიტეტის ფუნქციების ეფექტურად შესრულების მიზნით სამეთვალყურეო საბჭოს წვდომა უნდა ჰქონდეს როგორც დირექტორთა საბჭოს, რისკებისა და ფინანსური კონტროლის პერსონალთან, ასევე, სხვა შიდა და გარე მხარეებთან. (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.6.8 ქვეპუნქტი).

საწარმოში არ არის შექმნილი **ანაზღაურების კომიტეტი** და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს აქვს შეთავსებული შესაბამისი ფუნქციების შესრულება, რაც გაწერილია სამეთვალყურეო საბჭოს დებულებაში.

რისკების მართვის კომიტეტის ფუნქციების შეთავსების ფარგლებში სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს საწარმოს ანაზღაურების სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაში, ასევე, იმის მიღწევაში, რომ საწარმოს ანაზღაურების სისტემა შეესაბამებოდეს მის კულტურას, გრძელვადიან ბიზნესს და რისკის მართვის ჩარჩოს, საწარმოს საქმიანობას და კონტროლის გარემოს ისევე, როგორც კანონმდებლობის/საზედამხედველო მოთხოვნებს (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.8 პუნქტი).

ანაზღაურების კომიტეტის ფუნქციები შეთავსებული აქვს სამეთვალყურეო საბჭოს მათ შორის:

ა) რეგულარულად განიხილოს საწარმოს ანაზღაურების პოლიტიკა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა. უზრუნველყოს საწარმოს ანაზღაურების პოლიტიკის ეფექტურობისა და მისი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება, მათ შორის ძირითადი საქმიანობის შედეგების ინდიკატორებთან მიმართებით (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.8.1 ქვეპუნქტი);

ბ) ყოველწლიურად მოამზადოს რეკომენდაციები მმართველი ორგანოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საერთო კრებას (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.8.2 ქვეპუნქტი).

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ანაზღაურების პილიტიკის ფარგლებში კომპანიაში მუშაობს რამდენიმე ტიპის სახელფასო სისტემა, ერთმანეთისაგან განსხვავებული სახელფასო სპეციფიკიდან გამომდინარე. თითოეულ პოზიციაზე არსებობს გარკვეული სახელფასო ზღვარი, რომლის ფარგლებშიც ხდება თანამშრომლის დაქირავება. ასევე რამდენიმე შეფასების კრიტერიუმზე დაფუძნებულია საბონუსე სისტემა, რის შედეგადაც პერიოდულობით ხდება იერარქიის გათვალისწინებით დამატებითი ფულადი თანხის გაცემა. კომპანიაში არსებობს თანამშრომელთა შეფასების პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქტის წარმოების ხარისხის დაცვას და ტექნოლოგიური ჯაჭვის უწყვეტობას. შეფასების შედეგების მიხედვით გარკვეული პერიოდულობით ხდება თანამშრომელთა წახალისება. სამუშაოს შეფასებაზე დაფუძნებული წახალისების მექანიზმების გარდა, არსებობს გამომუშავებაზე, მეტ შესრულებაზე, დამყარებული ანაზღაურების სისტემები. კომპანიაში არსებობს არაფულადი ბენეფიტების სისტემა როგორიცაა: თანამშრომელთა კვება, ტრანსპორტისა და ტრენინგის დაფინანსება და ა.შ

საწარმოში არ არის შექმნილი **კორპორაციული მართვის კომიტეტი** და საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს აქვს შეთავსებული შესაბამისი ფუნქციების შესრულება, რაც გაწერილია სამეთვალყურეო საბჭოს დებულებაში. კორპორაციული მართვის კომიტეტის ფუნქციების შეთავსების ფარგლებში სამეთვალყურეო საბჭო:

ა) უზრუნველყოფს საწარმოს შიდა მმართველობითი სტრუქტურის შესაბამისობას კორპორაციული მართვის საკითხების მომწესრიგებელ კანონმდებლობის მოთხოვნებთან და საწარმოს შიდა წესებთან/დოკუმენტებთან (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.9 პუნქტი);

ბ) უზრუნველყოფს საწარმოს შიგნით ისეთი გადაწყვეტილებების მიღების სისტემის არსებობას, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებისას საწარმოს რეპუტაციული რისკების შეფასებას და ამასთან, სრულ შესაბამისობას კანონმდებლობასთან და საწარმოს შიდა სტანდარტებთან (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 2.10 პუნქტი).

თუმცა კორპორაციული მართვის კომიტეტის ზოგიერთი ფუნქცია მათ შორის კოდექსის მე-12 მუხლის "გ"-“ე” ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებები, სპეციფიკიდან/შინაარსიდან გამომდინარე, ფიზიკურად ვერ მიენიჭება სამეთვალყურეო საბჭოს. ამავდროულად, ფუნქცია ფაქულტატურია და კორპორაციული მართვის კომიტეტის არქონა დაშვებულია კანონით.

სამეთვალყურეო საბჭოში წევრთა უნარებისა და გამოცდილების ფართო სპექტრის მოთხოვნა უზრუნველყოფილია სამეთვალყურეო საბჭოს დებულებით (პუნქტი 5.7)

სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს საკუთარი საქმიანობის თვითშეფასებას და ამისათვის გაჩნია შესაბამისი პროცედურები. აღნიშნული გაწერილია სამეთვალყურეო საბჭოს დებულების მე-9 თავში - "საბჭოს თვითშეფასება".

დირექტორთა საბჭო

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს საქმიანობის პროცესი არის სრულად გამჭვირვალე - ყველანაირი ცვლილება, ანგარიში (მათ შორის ფინანსური ანგარიში) არის საჯარო და განთავსებულია კომპანიის საიტზე, მიგვაჩნია რომ ამ ფაქტორების გათვალისწინებით კომპანია ამჟამად არ საჭიროებს დირექტორთა საბჭოს და არსებული პირობებითაც (იმის გათვალისწინებით რომ კომპანია სრულად იცავს ემიტენტის გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ სავალდებულო საკანონმდებლო დანაწესებს) მიიღწევა ყველა ის მიზანი, რასაც ემსახურება ან რომელი სამართლებრივი სიკეთის დაცვისთვისაც არსებობს ანგარიშვალდებულ საწარმოში დირექტორთა საბჭოს საკანონმდებლო დანაწესი, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს, საკანონმდებლო სავალდებულო დანაწესის ფარგლებში, დაწყებული აქვს დირექტორთა საბჭოს შექმნის პროცესი, მიმდინარეობს სავარაუდო კანდიდატთა მოძიება და მათთან მოლაპარაკება და ვვარაუდობთ, რომ

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შემდეგი წლის წლიური ანგარიშის წარდგენის მომენტისათვის უკვე სრულად დასრულებული იქნება აღნიშნული პროცესი.

კორპორაციული მდივანი

კორპორაციული მართვის პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით კომპანიაში არის კორპორაციული მდივნის პოზიცია, რომლის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

ა) ორგანიზაციული და ინფორმაციული მხარდაჭერის გზით, საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოსა (კომიტეტების ჩათვლით) და დირექტორთა საბჭოსთვის დახმარების გაწევა საქმიანობის განხორციელებაში (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი);

ბ) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსთვის კორპორაციულ დოკუმენტაციასთან და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებული რჩევების მიცემა (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი);

გ) სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსთან თანამშრომლობა მათი სხდომის დღის წესრიგის შედგენისა და დაგზავნის, სხდომის ორგანიზებისა და ჩატარების, აგრეთვე, შეტყობინებების დაგზავნის საკითხებში (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი);

დ) საჭირო ტრენინგების და მოსამზადებელი საორიენტაციო შეხვედრების დაგეგმვა უკვე მომუშავე თუ ახლად დანიშნულ/არჩეულ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრებისათვის (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "გ" ქვეპუნქტი);

ე) ყველა კორპორაციული დოკუმენტის, ოქმის თუ სხვა საჭირო საბუთის წარმოება და ინფორმაციის მინიმუმ 6 წლის ვადით შენახვა (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "ე" ქვეპუნქტი);

ვ) იყოს დამაკავშირებელი რგოლი აქციონერებს/პარტნიორებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს შორის (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტი);

ზ) უზრუნველყოს საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვა (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტი);

თ) კორპორაციული მდივნის ფუნქციაა მარეგულირებელი/ზედამხედველი ორგანოების მიერ მიღებულ კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო და ასევე, საწარმოს მიერ მიღებული კორპორაციული მართვის კოდექსით გათვალისწინებულ პრინციპებთან შესაბამისობა (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "თ" ქვეპუნქტი);

ი) განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს სხდომების, აგრეთვე აქციონერთა/პარტნიორთა საერთო კრების მდივნის ფუნქცია და აწარმოოს ოქმები (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.6 პუნქტის "ი" ქვეპუნქტი).

კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების თანახმად კორპორაციული მდივანი წარმოადგენს უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფ პირს, რომელიც ახორციელებს საწარმოს მმართველი ორგანოს, აქციონერების/პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმაციულ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას (კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.1. პუნქტი)

კორპორაციული მართვის პრინციპების შესახებ დებულების 3.6.2. პუნქტის თანახმად სამეთვალყურეო საბჭო დეტალურად განსაზღვრავს კორპორაციული მდივნის უფლებამოსილებასა და ვალდებულებებს, ფუნქციების ჩამონათვალს, საჭირო განათლებასა და კვალიფიკაციას, რომელსაც უნდა ფლობდეს კანდიდატი. ამავე

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

დებულების 3.6.2 პუნქტის თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციებში შედის კორპორაციულ მდივანის დანიშვნა და შრომითი ხელშეკრულების პირობების განსაზღვრა.

კორპორაციული მდივანი არის მელანო გოგისვანიძე პ/ნ: 60001077177 არ არის საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი, არ აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება და არ არსებობს რიამე პირობა, რაც ხელს შეუშლის მას მოვალეობების მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად შესრულებაში.

„ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“, როგორც ჰოლდინგური კომპანია, ჯგუფში შემავალი შვილობილი საწარმოების მმართველობითი სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას იღებს თავად და განახორციელებს ადეკვატურ მონიტორინგს (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 3.9 პუნქტი)

„ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“, როგორც ჰოლდინგური კომპანია:

- ჯგუფში შემავალი შვილობილი საწარმოების მმართველობითი სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას იღებს და განახორციელებს ადეკვატურ მონიტორინგს (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 3.9 პუნქტი);

- თითოეული შვილობილი საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი/დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელი იქნება რისკების მართვის ეფექტური პროცესების შენარჩუნებაზე (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 3.10 პუნქტი);

- ჯგუფში შემავალი შვილობილი საწარმოების მმართველობით ორგანოებმა დამოუკიდებლად შეაფასონ საჭიროების შემთხვევაში შეცვალონ პოლიტიკა, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონმდებლობას/საზედამხედველო მოთხოვნებს ან/და აღნიშნული ზიანის მომტანი იქნება შვილობილი საწარმოს ჯანსაღი და პრუდენციული მართვის მიზნებისათვის (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 3.11 პუნქტი);

- „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილი იქნება პერიოდულად მოითხოვოს მიმოხილვა შვილობილი საწარმოების სტრუქტურის, მათი კონტროლებისა და საქმიანობის შესახებ ისევე, როგორც ინფორმაცია მათ მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასთან შესაფერისობის თაობაზე (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 3.12 პუნქტი).

მინიჭებული უფლებამოსილების სრულად განხორციელების შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო შეძლებს მუდმივად შეინარჩუნოს მზადყოფნა განახორციელოს შესაბამისი ანგარიშგება ზედამხედველ ორგანოსთან საწარმოში არსებული პოლიტიკისა და სტრატეგიების თაობაზე.

რისკების მართვის სისტემის შექმნასა და მონიტორინგზე საბოლოო პასუხისმგებლობა სამეთვალყურეო საბჭოს აკისრია. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ რისკების მართვის კომიტეტის ფუნქციები სრულად შეთავსებული აქვს სამეთვალყურეო საბჭოს.

სამეთვალყურეო საბჭო სრულად ასრულებს მის ვალდებულებას იცნობდეს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, საწარმოს რისკებს, მათ შორის გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს, ასევე, რისკებს ჯგუფისა და ბიზნესსაქმიანობის დონეზე (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 11.1 პუნქტი).

სამეთვალყურეო საბჭო მინიმუმ ყოველწლიურად გადახედავს რისკის მართვის ჩარჩოს. (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 11.2 პუნქტი).

კომპანიას გააჩნია რისკების მართვის სისტემა და დამტკიცებული პროცესები/პროცედურები ახალ პროდუქტებთან თუ მომსახურებასთან, გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან, ბიზნეს ხაზთან და მსხვილ და კომპლექსურ ტრანზაქციებთან, გამოყენებულ ტექნოლოგიებსა და მათ უსაფრთხოებასთან მიმართებით, რაც მნიშვნელოვან რესურსებს მოითხოვს ან/და რთულად განსაზღვრადი რისკები აქვს (სამეთვალყურეო საბჭოს დებულების 11.3 პუნქტი).

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

„ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს, როგორც ჰოლდინგური კომპანიის, შიდაორმატიული ბაზა ჰქმნის შესაძლებლობას მოხდეს რისკების იდენტიფიცირება შვილობილი საწარმოების დონეზე. სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად განიხილავს საწარმოს ძირითად პოლიტიკებსა და კონტროლის მექანიზმებს, რათა მოახდინოს მნიშვნელოვანი რისკების, საკითხებისა და საჭიროებების იდენტიფიცირება.

კომპანიას ჰყავს შიდა აუდიტის კომიტეტი, რომლის საქმიანობა რეგულირდება შიდა აუდიტის კომიტეტის დებულებით. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით მინიჭებული უფლებების ფარგლებში სამსახურს გააჩნია შემდეგი უფლებამოსილებები/ვალდებულებები/მოთხოვნები:

ა) კომიტეტი უფლებამოსილია ჰქონდეს კომპანიის ყველა სტრუქტურულ დანაყოფთან, კომპანიაში არსებულ ჩანაწერებთან, კომპანიის ქონებასთან და საინფორმაციო სისტემებთან სრული, პირდაპირი და შეუზღუდავი წვდომა (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 3.1 პუნქტი);

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს შიდა აუდიტის დამოუკიდებლობის შენარჩუნება, შიდა კონტროლის, რისკების მართვის სისტემებისა და პროცესების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასებისას; (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 1.4 პუნქტი);

გ) შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლები კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება შიდა და საერთაშორისო პროფესიულ სტანდარტებს, გააჩნდეთ სათანადო ცოდნა, რესურსი, უნარ-ჩვევები და კომპეტენცია საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 4.4 პუნქტი);

დ) შიდა აუდიტის კომიტეტის თანამშრომლების შერჩევისას სრულად არის დაცული დებულებით დადგენილი მოთხოვნები, რომელიც უზრუნველყოფს საქმიანობის ეფექტურად წარმართვას (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 4.4 პუნქტი);

ე) აუდიტთან დაკავშირებული რეკომენდაციების გათვალისწინება და არსებული ნაკლოვანებების დროული და ეფექტური აღმოფხვრა (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 5.6 პუნქტი);

ვ) შიდა აუდიტის სამსახურის მიერ საწარმოს მთლიანი რისკების მართვის ჩარჩოს შეფასებას, რომელიც სულ მცირე მოიცავს:

- ▶ რისკების მართვისა და შესაბამისობის ფუნქციების ეფექტურობის შეფასებას;
- ▶ სამეთვალყურეო საბჭოსთან და დირექტორთა საბჭოსთან რისკების შესახებ ანგარიშგების პროცესების ხარისხის შეფასებას;
- ▶ საწარმოს შიდა კონტროლების სისტემის ეფექტურობის შეფასებას (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 1.5 პუნქტი);

შიდა აუდიტის სამსახური ანგარიშვალდებულია მხოლოდ კომპანიის აუდიტის კომიტეტისა და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 1.2 პუნქტი). სამსახურის თანამშრომლების შრომის ანაზღაურების საკითხს წყვეტს სამეთვალყურეო საბჭო (შიდა აუდიტის კომიტეტის დებულების 4.6 პუნქტი)

შიდა აუდიტის სამსახური ვალდებულია დაუყოვნებლივ ანგარიშგება მოახდინოს სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორთა საბჭოსთან იდენტიფიცირებული პრობლემურ საკითხებსა და შეფასების შედეგებზე (შიდა აუდიტის სამსახურის დებულების 2.8 პუნქტი)

შიდა აუდიტის სამსახურის ზომა და სტრუქტურა შეესაბამება შიდა აუდიტისთვის განსაზღვრული მიზნების სირთულეს და საწარმოს წინაშე არსებულ რისკებს (შიდა აუდიტის სამსახურის დებულების 3.4 და 4.2 პუნქტები)

შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობასა და სტრუქტურას აფასებს და კონტროლს უწევს აუდიტის კომიტეტი (აუდიტის კომიტეტის დებულების 4.3.1 პუნქტის (ი) ქვეპუნქტი)

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

აქციონერთა/პარტნიორთა და დაინტერესებულ მხარეთა უფლებები

კომპანიის წესდებითა და შემუშავებული შიდა დოკუმენტაციის საფუძველზე უზრუნველყოფილია გამჭვირვალობის წესის“ მე-9 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა, მათ შორის:

- ▶ ფასიანი ქაღალდების ყველა მფლობელის მიმართ, რომლებიც თანაბარ პირობებში იმყოფებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი მოპყრობა. აღნიშნული გათვალისწინებულია კომპანიის წესდებით (კომპანიის წესდების მუხლი 2 პუნქტი 6) და იმ შიდასამართლებრივი აქტებით, რომლებიც განთავსებულია კომპანიის ვებ-გვერდზე;
- ▶ კომპანია იცავს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებს ინფორმაციის საჯაროობასთან დაკავშირებით - იხ. კომპანიის ვებ-გვერდი;
- ▶ კომპანია იცავს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებს ინფორმაციის საჯაროობასთან დაკავშირებით. იხ. კომპანიის ვებ-გვერდი, სადაც განთავსებულია ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც საჯაროობას საჭიროებს;
- ▶ სამეთვალყურეო საბჭო ნებისმიერ დროს გამოთქვამს მზადყოფნას გამართოს დიალოგი აქციონერებთან/პარტნიორებთან, თუ ისინი არ ეთანხმებიან საწარმოს პოზიციას საწარმოს ზომითი კატეგორიის კომპლექსურობის, მის წინაშე არსებული რისკებისა და გამოწვევების გათვალისწინებით (საწარმოს წესდების მუხლი 2, ქვეპუნქტი 14- 17);
- ▶ აქციონერებს უფლება აქვთ დაუბრკოლებლად ისარგებლონ კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილებით და აღნიშნული უზრუნველყოფილია საწარმოს წესდების დონეზე;
- ▶ კომუნიკაციისა და ინფორმაციის საჯაროობის უფლება გათვალისწინებულია კომპანიის წესდებით და ყველა სახის ინფორმაციის გასაჯაროება ხდება კომპანიის ვებ-გვერდის მეშვეობით;
- ▶ სამეთვალყურეო საბჭო, აქციონერთა კრების მეშვეობით, უზრუნველყოფს ეფექტურ და სამართლიან ურთიერთობას აქციონერებთან და აქციონერების აქტიურ მონაწილეობას საერთო კრების მუშაობაში;
- ▶ საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (წესდების მე-19 პუნქტი). საერთო კრების მოწვევის, ჩატარების და შედეგების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და თავსდება კომპანიის ვებ-გვერდზე;
- ▶ საწარმო ასაჯაროებს კორპორაციული მართვის კოდექსის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ინფორმაციას. საერთო კრების მოწვევის, ჩატარების და შედეგების შესახებ ინფორმაცია საჯაროა (იხ. კომპანიის ვებ-გვერდი).

კომპანია ინფორმაციის ასაჯაროებს ქვეყანაში მოქმედი მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი წესით და ინფორმაციას ამჟღავნებს კომპანიის ვებ-გვერდზე, რომელიც მუდმივად განახლებადია, სადაც ასევე განთავსებულია საჭირო საკონტაქტო ინფორმაცია. სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს მასთან კომუნიკაციის თავისუფლებას ყველა პირისათვის.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. არაფინანსური ანგარიშგება

4.1 დასაქმება და ადამიანური რესურსების მართვა

მმართველობის სტრუქტურა და ჯგუფის მასშტაბი

კომპანია „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“ დღესდღეისობით ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია საქართველოს ბაზარზე. ჰოლდინგი აერთიანებს დედა კომპანიას, სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს და 16 შვილობილ კომპანიას, თითოეული შვილობილი წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს. ჰოლდინგში შემავალი შვილობილი კომპანიების თანამშრომლებით დაკომპლექტებას, თანამშრომელთა ადმინისტრირებას და არსებული ადამიანური კაპიტალის მართვას ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის ორი სტრუქტურული ქვედანაყოფი:

- (1) სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ქვედანაყოფი და (2) სს „ნიკორა ტრედი“-ს, სუპერმარკეტების ქსელის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტები. აღნიშნული ორივე სტრუქტურული ერთეული სრულიად დეცენტრალიზებულად და დამოუკიდებლად ფუნქციონირებს.

HR ქვედანაყოფის მიზნები და სამუშაო ძალის მართვა

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ადამიანური რესურსების მართვის ქვედანაყოფის მიზანია:

- ▶ ხელი შეუწყოს კომპანიის განვითარებას;
- ▶ შექმნას ძლიერი/მყარი ადამიანური კაპიტალი;
- ▶ მოიზიდოს მაღალკვალიფიციური თანამშრომლები;
- ▶ გააუმჯობესოს თანამშრომლების სამუშაო გარემო,;
- ▶ ხელი შეუწყოს მათ განვითარებას, შესაბამისად შეამციროს თანამშრომელთა გადინება და შეძლოს, რომ კომპანიისა და თანამშრომლების მიზნები ურთიერთთანხვედრაში იყოს.

ქვედანაყოფი აქტიურად მუშაობს, როგორც სამუშაო ძალის შენარჩუნებაზე ასევე, ახალი თანამშრომლების მოძიებასა და მათ კომპანიაში დროულ ინტეგრირებაზე, რაც თავისთავად ხელს უწყობს დასახული მიზნების დროულად განხორციელებასა და კომპანიის განვითარების ტემპის შენარჩუნებას.

შიდა პოლიტიკა და შრომითი ურთიერთობები

კომპანიაში შემუშავებულია შინაგანაწესი, რომლითაც შიდა პოლიტიკისა და მიმართულებების მიხედვით შესაბამისი პროცედურები და ადამიანური რესურსების მართვა ხორციელდება ყველა აუცილებელი წესის დაცვით. გარდა შინაგანაწესისა, შვილობილი კომპანიების ჭრილში, ბიზნეს საქმიანობის სპეციფიკების გათვალისწინებით, დანერგულია სხვა მარეგულირებელი შიდა სამართლებრივი აქტები, რომლებიც თანამშრომლებისთვის და დამსაქმებლისთვის ხდის მკაფიოს და ნათელს შრომით ურთიერთობასა და ზოგადად სამუშაო პროცესებს.


დასაქმების დინამიკა და სამუშაო ადგილები

კომპანია მისი სწრაფი წინსვლისა და განვითარების ტემპიდან გამომდინარე, წლიდან წლამდე უფრო და უფრო მეტ ახალ სამუშაო ადგილს ჰქმნის და ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას.

შესაბამისად, ნიკორა ჯგუფში კომპანიის განვითარებასთან ერთად, თანამშრომელთა რაოდენობა წლიდან წლამდე მუდმივად მზარდია.


სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

დასაქმებულთა რაოდენობა წლების მიხედვით:



წყარო: კომპანიის შიდა ინფორმაცია (ბოლო პერიოდის მდგომარეობით).

მსხვილი დამსაქმებელი ჰოლდინგში:



- სს ნიკორა ტრედი
- შპს პარტნიორი
- შპს ნიკორა
- შპს კორიდა
- შპს მზარეული
- დანარჩენი შვილობილი კომპანიები

წყარო: კომპანიის შიდა ინფორმაცია (ბოლო პერიოდის მდგომარეობით).

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)


დასაქმებულთა განაწილება

გენდერული თანასწორობის კუთხით მდგომარეობა დაბალანსებულია, მდედრობითი და მამრობითი სქესის თანამშრომლები სარგებლობენ თანაბარი პირობებით და შესაძლებლობებით. შესაბამისად, აქვთ თანაბარი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. თანამშრომლის დაქირავების პროცესში ყურადღება ექცევა და აქცენტები კეთდება კანდიდატის საქმიანობასთან შესაბამისობასა და კვალიფიკაციაზე, განურჩევლად სქესისა. აღნიშნული თანასწორობის დაცვაზე პირდაპირ მეტყველებს ყველა შვილობილ კომპანიაში დანერგილი შინაგანაწესის ჩანართები, რომლებიც სრულიად თანხვედრაშია სახელმწიფოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

სამუშაო პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ნებისმიერი პირი მიუხედავად, სქესის, რასისა და წარმომავლობისა შეძლებს აღნიშნულ კომპანიაში დასაქმებას.

რაც შეეხება დასაქმებულთა ასაკობრივ განაწილებას, „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს შვილობილი კომპანიების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს თანამშრომელთა ყველა ასაკობრივ სეგმენტს.

თანამშრომელთა განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით:



ანაზღაურების სისტემა, შეფასება და მოტივაცია

კომპანიაში თითოეულ პოზიციაზე არსებობს გარკვეული სახელფასო ზღვარი, რომლის ფარგლებშიც ხდება თანამშრომლის დაქირავება. ჰოლდინგში მუშაობს რამდენიმე ტიპის სახელფასო სისტემა, ერთმანეთისაგან განსხვავებული სახელფასო სპეციფიკიდან გამომდინარე:

- ▶ წარმოებასა და სასაწყობო მეურნეობის მიმართულებით;
- ▶ დისტრიბუციის მიმართულებით;
- ▶ ადმინისტრაციის მიმართულებით;
- ▶ ზოგიერთი წარმოების თანამშრომლების ანაზღაურების სისტემა სამუშაო გრაფიკებისა და საათობრივი კოეფიციენტების მიხედვით;
- ▶ წარმოების თანამშრომლების საწარმო გეგმის შესრულების მიხედვით;

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

- ▶ სასაწყობე მეურნეობის გამომუშავების სისტემა სხვადასხვა კრიტერიუმით გათვალისწინებული;
- ▶ ასევე, სავაჭრო მიმართულებით შემუშავებულია თანამშრომელთა ანაზღაურების სისტემა, სამუშაო გრაფიკებისა და სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ კომპანიაში შპს „ნიკორა“-ს ბაზაზე ჯერ კიდევ 2022 წლის ჭრილში განახლდა თანამშრომელთა შეფასების პროცესი, რომელიც გულისხმობს კომპლექტებულ საკითხს, სამუშაო სივრცეში და თეორიულ კომპონენტებში სწავლებას და შემდეგ შეფასებას ტექნოლოგიური სამსახურის მიერ. მუდმივ რეჟიმში კვლავ მიმდინარეობს თანამშრომელთა შეფასების პროცესი, უზნების მიხედვით საკონტროლო წერტილებით და პროდუქციის შექმნის ქრონომეტრაჟის გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასების პროცესი უზრუნველყოფს პროდუქტის წარმოების ხარისხის დაცვას და ტექნოლოგიური ჯაჭვის უწყვეტობას. შეფასების შედეგების მიხედვით გარკვეული პერიოდულობით ხდება თანამშრომელთა წახალისება.

გარდა სამუშაოს შეფასებაზე დაფუძნებული წახალისების მექანიზმებისა, არსებობს გამომუშავებაზე, მეტ შესრულებაზე, დამყარებული ანაზღაურების სისტემები, რომელიც აგრეთვე დიდი სტიმულის მიმცემია პერსონალისთვის, მაგალითად, გაყიდვების ჯგუფი სადისტრიბუციო ხაზში. ასევე, სასაწყობე მეურნეობისთვის არის შექმნილი საბონუსე სისტემა, რომელიც დაფუძნებულია 3-4 შეფასების კრიტერიუმზე, როგორც არის თანამშრომელთა დასწრება, თვის გეგმის შესრულება თუ დანაკლისების აღმოფხვრა, რის შედეგადაც, სასაწყობე პერსონალის იერარქიის გათვალისწინებით ხდება დამატებითი ფულადი თანხების (ბონუსების) დაანგარიშება და თვეში ერთხელ გაცემა.

გამოსაყოფია ასევე ანაზღაურების სისტემა, რომელიც დამოკიდებულია საწარმო გეგმის სრულ შესრულებაზე. თანამშრომელს შეუძლია, როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური კომპონენტის შესრულების შემდეგ მიიღოს დამატებითი სარგებელი. აღნიშნული სისტემა 2025 წლის ივლისის თვიდან მუშაობს.

HR-ის მიზანია, გამართული შეფასების სისტემის საფუძველზე, შევქმნათ და დავნერგოთ გამჭირვალე, ობიექტური და თანამშრომლებისათვის მისაღები სამოტივაციო სისტემა ყველა ჩვენს შვილობილ კომპანიაში სტრუქტურული ერთეულების სპეციფიკის გათვალისწინებით.

HR ტექნოლოგიები და სამუშაო დროის აღრიცხვა

თანამედროვე საწარმო პროცესები და დასაქმებულთა მოთხოვნები ყოველთვის საჭიროებს ტექნოლოგიური პროცესების შემოტანას. შესაბამისად, რამდენიმე შვილობილმა კომპანიამ შეიძინა და დანერგა თანამშრომელთა სამუშაო დროის აღრიცხვის პროგრამა. პროგრამული უზრუნველყოფა ითვალისწინებს თანამშრომლების ინდივიდუალურ პროფილებს, მობილურ და ინტერნეტ წვდომებს. შედეგად, ნებისმიერ თანამშრომელს თუ მენეჯერს შეუძლია პირადი და დაქვემდებარებული პირების სამუშაო დროების, შვებულების თუ ბიულეტენის ლიმიტების, კომპანიის სიახლეების ელექტრონულად, სწრაფად გაცნობა.

აღნიშნული პლატფორმები ვითარდება და კიდევ ბევრ სიახლეს შესთავაზებს მომხმარებელს. 2022 წელს 2 შვილობილი კომპანია სარგებლობდა ელექტრონული პლატფორმით, 2023-2024 წლებში კიდევ 4 შვილობილი კომპანია დაემატა ამ სისტემას, ხოლო 2025 წელს კიდევ 1 შვილობილ კომპანიაში დაინერგა აღნიშნული.

ორგანიზაციული კლიმატი და კორპორატიული აქტივობები

2022 წელს შპს „ნიკორა“-ს ყველაზე ხანდაზმულ საწარმოს ხორცპროდუქტების ბაზაზე შეიქმნა მრავალწლიანი გამოცდილების და ცოდნების გამაერთიანებელი ელექტრონული პლატფორმა ე.წ. „ვიკიპედია“. აღნიშნული აერთიანებს ყველა საწარმო პროცესის თუ ტექნიკური დანადგარის, ინსტრუმენტის სამუშაო ინსტრუქციებს, ვიდეო მასალებს, არსებულ მსუყე ლიტერატურას და ასევე, სხვა სამეცნიერო ლიტერატურის წვდომის საშუალებას. 2023 წელს ანალოგიური პლატფორმის გამოცდილების გათვალისწინებით თევზის და რძის პროდუქტების მწარმოებელმა კომპანიებმა დაიწყეს სასწავლო მასალების დასტანდარტიზება და სასურველი ლიტერატურული მასალების შეძენა. აღნიშნული პროცესი საწინდარია სხვა შვილობილ კომპანიებში ელექტრონული სასწავლო პლატფორმების შექმნის. 2026 წელს კომპანიამ მუშაობა დაიწყო შიდა კომუნიკაციის

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სტრატეგიის შემუშავებაზე, რომლის მიზანია ინფორმაციის გაცვლის პროცესის გაუმჯობესება და თანამშრომელთა ჩართულობის ზრდა.

საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა კომპანიაში არსებულ ორგანიზაციულ კლიმატს. სწორედ ამიტომ, თანამშრომელთა მოტივირებისა და ზოგადი კლიმატის გაუმჯობესების მიზნით, მუდმივად ხორციელდება სხვადასხვა კორპორატიული პროექტები:

- ▶ კორპორატიული ღონისძიებები;
- ▶ სადღესასწაულო დღეების მილოცვა და თანამშრომელთა წახალისება;
- ▶ სხვადასხვა სპორტული აქტივობები, რომელიც შეჯიბრის სახით ტარდება შვილობილ კომპანიებს შორის;
- ▶ საზაფხულო ექსკურსიები, გუნდურობისა და თანამშრომლებში კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით არაერთი ღონისძიება და თიშბილდინგი ჩატარებულია.

სწავლება და პერსონალური განვითარება

2024 წელს დაინერგა პერსონალური განვითარების პროგრამა, რომელიც გულისხმობს კომპანიის მხრიდან თანადაფინანსებას თანამშრომლების სურვლისამებრ სხვადასხვა სწავლების, მენტორინგის, სერტიფიცირების თუ ა.შ. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს სწავლებები შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- (1) ახალი თანამშრომლების ადაპტაციის მოდული;
- (2) სავალდებულო სწავლებები, მაგალითად, შრომის უსაფრთხოება, სახანძრო უსაფრთხოება და პირველადი სამედიცინო დახმარება;
- (3) კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები უშუალოდ საწარმო და სამუშაო სივრცეში გამოყოფილი მენტორების მიერ.

2025 წელს პერსონალური განვითარების პროექტის თანადაფინანსებით აქტიურად ისარგებლეს უკვე სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს, შპს „მზარეული 1“-ის და შპს „ნიკორა“-ს თანამშრომლებმა.

კომპანიაში განხორციელდა ე.წ. სწავლებების საჭიროების კვლევა (TNA – Training needs analysis) თანამშრომლების და უშუალო ხელმძღვანელის ჩართულობით. კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი მეთოდოლოგიის გამოკითხვის საშუალებით, სადაც დაფიქსირდა სწავლებების საჭიროება და ანალიზი. სწავლების საჭიროების იდენტიფიცირების შემდეგ მიმდინარეობდა სწავლების დაგეგმვა ბიზნეს პროცესების გათვალისწინებით.

შრომის უსაფრთხოება და სერტიფიცირება

ძალიან მნიშვნელოვანია კომპანიისთვის ასევე თანამშრომლების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხი, გამომდინარე აქედან, კომპანიაში არსებობს „შრომის უსაფრთხოების მენეჯერი“-ს თანამდებობა. აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული თანამშრომელი პასუხისმგებელია ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობს სამუშაო პროცესი, უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხოების ნორმები, ტარდებოდეს პრევენციული მონიტორინგი და ნებისმიერი ხარვეზის შემთხვევაში მოახდინოს დროული რეაგირება. ყოველწლიურად წარმოების თანამშრომლებს უტარდებათ შრომის უსაფრთხოების კუთხით შიდა სწავლება, ხოლო ყველა ახალი თანამშრომელი, წარმოების ტერიტორიაზე შესვლამდე გადის ინდივიდუალურ სწავლებას შრომის უსაფრთხოების ნორმების და ჰიგიენურ/სანიტარიული ნორმების დაცვის კუთხით.

ასევე, ყოველწლიურად სახელმწიფო კანონმდებლობის გათვალისწინებით მიმდინარეობს შემდეგი პოზიციების ოფიციალური ორგანიზაციების მიერ სერტიფიცირება, გადამზადება და შემდეგ ტესტირება. ეს სამუშაო პოზიციებია:

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

- ▶ ელექტრიკოსის პროფესია და შესაბამისი პოზიციები;
- ▶ საკვების და ქვე-სადგურის სამუშაო პოზიციები;
- ▶ ცვლის უფროსების და სამუშაო ჯგუფების საგანგებო მდგომარეობის დროს რეაგირების მექანიზმის სწავლება;
- ▶ დამატებით, ნიკორას შვილობილ კომპანიებში, სადაც თანამშრომელთა რაოდენობა 100 ადამიანზე მეტია, გამოიყო პასუხისმგებელი პირები (შიდა ან გარე მომსახურე კომპანიის მიერ) და მათი გადამზადება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სერტიფიცირებულ პროგრამაზე. აღნიშნული პირები დაინიშნენ შესაბამისი პოზიციებზე, რომლებიც შრომის უსაფრთხოების კოორდინატორთან ერთად მეტად უსაფრთხო და მოქნილ სისტემებს წერგავენ ადგილობრივ საწარმოო პროცესებში.

ხარისხის კონტროლი და გარემოს დაცვა

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-სთვის ასევე მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის საკითხები, შესაბამისად აღნიშნული საქმიანობის მიმართულებით გამოიყო 2 პიროვნება, რომელიც მუდმივ გადამზადებას გადის და წერგავს სიახლეებს საწარმო თუ სასაწყობო მიმართულებით.

რაც შეეხება, დუალური სწავლების პროექტს ხორცპროდუქტების საწარმოში არსებული პროფესიების პოპულარიზაცია და გატანა პოტენციურ დასაქმებულებთან. პოპულარიზაციისთვის აუცილებელია პოტენციურ დასაქმებულებთან სწავლებისა და დასაქმების შეთავაზება, რაც თავის თავში მოიაზრებს [სასწავლო ცენტრში](#) კონკრეტული სასწავლო მოდულების [ჩამოყალიბებას/აკრედიტაციას](#) და შეთავაზებას სკოლის დამამთავრებელი პირებისთვის. დაინტერესებული პირები შეძლებენ გაიარონ 16 კვირიანი სასწავლო პროგრამა პრაქტიკის გათვალისწინებით დახელოვდნენ ხორცპროდუქტების წარმოებაში, მიიღონ მცირედი სტეპენდია და სამომავლოდ გადაწყვიტონ პროფესიით მუშაობა. სასწავლო პროგრამას ჰყავს მსხვილი პარტნიორები, რომლებიც სერთიფიკატს გასცემენ ნიკორასთან ერთად.

ასევე, დიდი ყურადღება ექცევა თანამშრომლების მხრიდან დადგენილი ჰიგიენურ/სანიტარული ნორმებისა და ხარისხი მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული პროცედურების დაცვას.

დედა კომპანიის სს“ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს სტრუქტურაში, არსებობს ხარისხის მართვის დეპარტამენტი, რომელიც ცენტრალიზირებულად ემსახურება ჰოლდინგში შემავალ ყველა შვილობილ კომპანიას. დეპარტამენტში არსებული სპეციალისტების მატრიცული განაწილება ხდება შვილობილ კომპანიებზე, სპეციალისტები ახორციელებენ შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლს და შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში მიმართავენ შესაბამის ზომებს. პერიოდულად ხდება სპეციალისტების როტაცია შვილობილ კომპანიებს შორის, პრევენციის მიზნით. დამატებით, რამდენიმე შვილობილ კომპანიაში ფართო მასშტაბიანი საქმიანობიდან გამომდინარე გამოყოფილია შიდა თანამშრომლების ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია ყოველდღიურად ჰიგიენურ/სანიტარული ნორმების დაცვაზე. განსაკუთრებით ყურადღება ექცევა წარმოების პროცესში, რამდენად იცავენ თანამშრომლები დადგენილ წესებს და სწორედ ამისთვის ტარდება ყოველდღიური მონიტორინგი წარმოებაში. საჭიროების შემთხვევაში, ხარისხის მართვის სამსახურის თანამშრომელი, სამუშაო ადგილზევე ახორციელებს თანამშრომლის სწავლებას მის ტერიტორიაზე დადგენილ/გაწერილ წესების ფარგლებში. ამას გარდა, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ყოველწლიურად ტარდება ჰიგიენა/უსაფრთხოების კუთხით შიდა ტრენინგები და თანამშრომელთა სწავლება, რომელიც წელიწადში ორჯერ გეგმიურად ხორციელდება.

ამ ეტაპზე კვლავ მიმდინარეობს შვილობილ კომპანებში თანამშრომელთა რაოდენობის ზრდა შესაბამისად, ოთხმა შვილობილმა კომპანიამ ადგილზე მუდმივ რეჟიმში დაიქირავა ხარისხის მართვის მენეჯერები ან არსებული მენეჯერები გადაამზადა ხარისხის მართვის/სურსათის უვნებლობის მიმართულებით. შესაბამისად, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს მონიტორინგი საწარმო პროცესის.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სხვა ბენეფიტები და თანამშრომელთა კეთილდღეობა

კომპანიაში არსებობს ბენეფიტების სისტემა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბენეფიტი შეიძლება ითქვას, რომ არის წარმოებების და ლოგისტიკური მიმართულებით დასაქმებული თანამშრომლების კვება. თანამშრომლების კვებას ემსახურება ჰოლდინგის შვილობილი კომპანიის შპს „ნიკორა“-ს ბაზაზე არსებული კაფეტერია, რომელიც დაკომპლექტებულია გამოცდილი პერსონალით. ისევე როგორც წარმოებაში, ხდება სამზარეულოს ხარისხის კონტროლი, როგორც მზა პროდუქტის, ასევე ნედლეულის. 2022 წელს მოხდა სივრცის სრული რეაბილიტაცია/რემონტი, ხოლო 2023 წლიდან კი ყოველკვარტლურად მიმდინარეობს თანამშრომლების კმაყოფილების გამოკითხვა სასადილოს მომსახურების/კერძების შესახებ. მიღებული შედეგები გვეხმარება პროცესის გაუმჯობესებაში. კაფეტერიას შემუშავებული აქვს ორი ტიპის კვება ადგილზე პერსონალის და გასაგზავნი. ტრანსპორტირებისთვის შეძენილია სპეციალური სამგზავრო უმაღლესი ხარისხის ყუთები, რათა არ გაფუჭდეს საჭმლის კონსისტენცია. კვება არის 2 კვირის ციკლით და ითვალისწინებს, როგორც პერსონალის ცვლიანობას, ასევე ღამის და დღის განრიგებს. ყველა მომუშავეს რომ თანაბრად დაბალანსირებულად შეხვდეს ყველა ტიპის საკვები.

გარდა ამისა, არსებობს სხვადასხვა ბენეფიტური სისტემა: მრავალშვილიან მშობლებთან მიმართებაში, დაბადების დღის სიურპრიზები, სადღესასწაულო პრემიები, სწავლების დაფინანსებები, სპორტული აქტივობების ფასდაკლების ბარათები, ყოველთვიური გათამაშებები სხვადასხვა ტიპის საჩუქრები და სხვა.

ბენეფიტური სისტემის ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს კომპანიის მიერ დაორგანიზებული გასვლითი ღონისძიებები, როგორც არის ექსკურსიები საქართველოს და მის ფარგლებს გარეთ. „გავიცნოთ ერთმანეთი“ პროექტი სხვადასხვა აქტივობაზე ჯგუფების გაყვანა, სპორტული თუ კულინარიული აქტივობის ჩათვლით. ჩამოთვლილი გარე აქტივობები არის სისტემატიური და მიმდინარეობს ყოველთვიურად თუ კვარტლურად.

გარდა კვებისა, რამდენიმე შვილობილი კომპანია უზრუნველყოფს ასევე თანამშრომელთა ტრანსპორტირების დაფინანსებას, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფს, როგორც დამსაქმებელს და თანამშრომლებს კი რადიკალურად გაუმჯობესებულ სამუშაო პირობებს სთავაზობს. 2023 წლიდან უკვე ყველა შვილობილ კომპანიას აქვს სატრანსპორტო ბარათების დაფინანსების ბენეფიტი. სატრანსპორტო ბარათი არის 1 წლიანი ულიმიტო და ყოველწლიურად ხდება მათი ავტომატური განახლება.

თანამშრომლები სარგებლობენ ჯანმრთელობის კორპორატიული დაზღვევით. დაზღვევის ფარგლებში, წელიწადში ორჯერ, ექვს თვეში ერთხელ: დისტრიბუციის, სავაჭრო, სასაწყობო და წარმოების მიმართულებებით დასაქმებული თითოეული თანამშრომელი (ყველა, ვისაც პროდუქციასთან აქვს შეხება) გადის ჯანმრთელობის პროფილაქტიკურ შემოწმებას. ასევე, კომპანია აფინანსებს ღამის ცვლის თანამშრომლების მუდმივ რეჟიმში ჯანმრთელობის კვლევის დაფინანსებას და შემდეგ რეაბილიტაციას მომართვიანობის მიხედვით. მძღოლების სეგმენტი წელიწადში ორჯერ გადის შემოწმებების მთელ რიგ მოზრდილ ნუსხას, რათა მათი მომსახურება იყოს უსაფრთხო და სატრანსპორტო გადაადგილება შეუფერხებელი. სატრანსპორტო საშუალებების მძღოლების კვლევები სავალდებულოა, რასაც კომპანია აფინანსებს, ასევე საჭიროებისამებრ რეაბილიტაციასაც უზრუნველყოფს. ამის გარდა, კომპანიის სათაო ოფისსა და საწარმოო ტერიტორიაზე მდებარეობს პირადი ექიმის სამუშაო ოთახი, რომელიც თანამშრომლებს ადგილზევე უწევს სამედიცინო მომსახურებას და საჭიროების შემთხვევაში ამისამართებს ვიწრო პროფილის ექიმთან.

პერსონალის მოთხოვნიდან გამომდინარე ოჯახის ექიმები დაემატნენ სხვადასხვა ლოკაციაზე, ისეთ დისტანციებზე როგორც არის ფოთის საწარმო თუ ლილოს დასახლების საწყობი. ასევე, 2025 წლიდან კომპანიაში შემოვიდა 2 სადაზღვეო პარტნიორი და კომპანიის თანამშრომელს შეუძლია არჩევანი გააკეთოს მისთვის საინტერესო პარტნიორზე/ზრენდზე.

2025 წლის მაისიდან აქტიურად ფუნქციონირებს თანამშრომელთა ფორმების სამრეცხაოს სტრუქტურული ერთეული. ეს არის ისეთი უნივერსალური ბენეფიტი, რაც ყველა მხარესთვის მაქსიმალური სარგებლის მომტანია. შემუშავდა ფორმების გაცემის/დარიგების და ასევე, რეცხვის პროცედურა. სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-მა შეიძინა რეცხვისთვის დანადგარები (საშრობები, საუთოები და სხვ), მოეწყო ახალი ნაგებობა

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სტანდარტების გათვალისწინებით. პერსონალი გადამზადდა 2 თვის განმავლობაში და უკვე პროცესებს დამოუკიდებლად მართავენ. 2026 წელს დაგეგმილია, რომ „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ყველა შვილობილი ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის გახდეს ეს ბენეფიტი ხელმისაწვდომი. დამსაქმებელი უზრუნველყოფს სამუშაო ფორმების სრულად მოწესრიგებას და გაცემას. ყოველ დილას გამოცხადებულ თანამშრომელს მისთვის განკუთვნილ ადგილას ხვდება ახლად გარეცხილი დაუთოვებული ფორმა.

ახალგაზრდების განვითარება და დუალური სწავლება

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“ აქტიურად ზრუნავს თანამშრომლების ინტელექტუალურ განვითარებაზე წახალისებაზე, ახალგაზრდა თაობის ინტერესების დაკმაყოფილებაზე აღნიშნულ კრილში. თაობებისთვის საინტერესო განმავითარებელი პროექტების შემუშავებაზე. ასეთი პროექტებია, ე.წ. იდეათონი და ხორცპროდუქტების სპეციალისტის დუალური სწავლება. 2025 წლის მეორე ნახევარში დასრულდა ერთი სასწავლო ჯგუფი და მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები. 2026 წელს კვლავ იგეგმება აღნიშნულ პროგრამაზე რამდენიმე სასწავლო ჯგუფის მიღება. გაზაფხულის სასწავლო სეზონიდან ერთი ჯგუფი უკვე გადის სწავლებას და იგეგმება შემოდგომის სეზონზე ახალი ნაკადის მიღება. იდეათონის პროექტი გულისხმობს კომპანიის საჭიროებებზე მორგებულ სამუშაო შემთხვევების ანალიზს და მათი გადაჭრის გზების მოძიებას. ე.წ. ბიზნეს ამოცანები/ქეისები გაანალიზდება და მოიძებნება მათზე პასუხები სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობით. ბიზნეს ქეისის შემუშავებას კონკრეტული დეპარტამენტიდან გამოყოფილი მენტორი, რომელიც პროექტის სრული მსვლელობის დროს იქნება ინსტრუქტორი და აღმწერი ქეისთან დაკავშირებულ საკითხებზე. რა თქმა უნდა, აღნიშნული ქეისი უნდა იყოს სრულად კომპანიის საჭიროებებზე და გამოწვევებზე მორგებული. ბიზნეს ამოცანის გადასაწყვეტად გამოცხადდება რეგისტრაცია და გამოიყოფა ერთი სამუშაო დღე გარე სივრცეში. რეგისტრირებული თანამშრომლები, სხვა გარე დაინტერესებული სტუდენტები პირები იყოფიან ჯგუფებად, ირჩევენ კონკრეტულ ქეისს და მენტორთან ერთად იწყებენ მუშაობას.

ადაპტაცია და ძირითადი პროექტი

კომპანიაში დაინერგა საორიენტაციო, სწავლების კულტურა, რაც აუცილებელია ახალი თანამშრომლის სამუშაო პროცესებთან ადაპტაციის პროცესისათვის. ყველა თანამშრომელი აქტიურად ეცნობა ძირითად ინფორმაციას „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს სტრუქტურასთან და კომპანიის ძირითად მახასიათებლებთან დაკავშირებით, რაც უმარტივესტ მათ ადაპტაციის პროცესს; ამ კუთხით აქტიურად არის ჩართული ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ორი თანამშრომელი. საორიენტაციო სწავლების პროცესში საწარმო პროცესების გასაცნობად, სასწავლო მოდული შედგება ტექნოლოგიური ნაწილისგან, რომელსაც წარმართავს კომპანიის ტექნოლოგიური თუ წარმოების ხელმძღვანელებისგან შემდგარი ჯგუფი და სწავლების ბოლო ნაწილი, ჰიგიენის და შრომის უსაფრთხოება არის, რომელსაც უძღვებიან ხარისხის მართვის დეპარტამენტიდან გამოყოფილი თანამშრომლები. საორიენტაციო სწავლების მოდული განთავსებულია ახალ სასწავლო პორტალზე, რათა თანამშრომლები მარტივად მიწვდნენ სასწავლო მასალებს.

„ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“ მუდმივად პულსზე ხელის დაჭერით მიჰყვება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. 2024 წლის დასაწყისიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის ამუშავების შემდეგ მოხდა ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის საქმიანობის გადალაგება კანონის შესაბამისად. კერძოდ, პერსონალის ბაზების დახარისხება, წვდომის დონეების შეზღუდვა, პირადი საქმეების არქივის შენახვის წესის გადახედვა, განადგურება და სხვა. ასევე, შემუშავდა ვიდეო მონიტორინგის წესი, რომელიც ყველა პერსონალს გაეცნო და დაინერგა. კომპანია მუდმივად ცდილობს დახვეწოს და გააუმჯობესოს კანონის მოთხოვნის საფუძველზე პროცესები.

ბოლო პერიოდის ყველაზე მასშტაბურ პროექტად შეიძლება ჩაითვალოს ხორცპროდუქტების ახალი საწარმოს ფუნქციურად გახსნა და გაშვება მთლიანი სამუშაო პროცესის. 2025 წლის თებერვალი-აპრილის თვეები იყო ძალიან დატვირთული, როგორც ადმინისტრაციული რგოლებისთვის ასევე, საწარმო პერსონალისთვის. თითოეული დანადგარის სამუშაო პროცესის დაშლა და ახალი სივრცეში აწყობა/გაშვება. ამავდროულად სრულიად ახალი პროგრამული უზრუნველყოფის გაშვება. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

როლი ამ პროცესში იყო პერსონალის ინსტრუქტირება, ახსნა-განმარტებები როგორ მუშაობენ ახალ ქარხანაში, სამუშაო სივრცეების გარდა სხვა სივრცეების გაცნობა და წესების დანერგვა. ამავდროულად კვების და ფორმების რეცხვის სისტემების სრული აწყობა. ახალი სამუშაო პოციზიების დაკომპლექტება და სახე ცვლილი ფუნქციონალების სტრუქტურულად გადაწყობა.

კომპანიის მასშტაბები და შესაბამისად დასაქმებულთა რაოდენობა მუდმივად მზარდია. შრომითი ბაზრის ძლიერ კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს მუდმივად უწყევს ზრუნვა კორპორატიული კულტურის გაძლიერებაზე, პერსონალის განვითარებასა და მათ კმაყოფილებაზე.


4.2 შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

გარემოს დაცვა


ორგანიზაცია გარემოსდაცვით საქმიანობასა და საწარმოო პროცესებში ნარჩენების მართვის კუთხით ძირითად აქცენტს აკეთებს გარემოზე ზემოქმედების მაქსიმალურ შემცირებაზე, რესურსების ეფექტურ გამოყენებასა და რეგულაციებთან შესაბამისობაზე. კომპანიამ გააძლიერა გარემოსდაცვითი კონტროლი და ნარჩენების მართვის პროცესები, რაც მიმართული იყო ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმიზაციისკენ, რაც გამოიხატება შემდეგში:

- ▶ ნარჩენების სეგრეგაციის სისტემის გაუმჯობესება საწარმოო უბნებზე;
- ▶ საშიში და არასაშიში ნარჩენების განცალკევებული მართვის დანერგვა;
- ▶ ნარჩენების შემცირების ინიციატივების განხორციელება (Reduce, Reuse, Recycle);
- ▶ წყლისა და ენერგიის მოხმარების ოპტიმიზაცია;
- ▶ გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისობის უზრუნველყოფა.

კომპანიის მასშტაბით ხდება ნარჩენების აღრიცხვა, სახიფათო და არასაშიში ნარჩენების სეპარირება და შემდგომში მათი გადაცემა სერთიფიცირებულ კონტრაქტორ ორგანიზაციებზე. ჰოლდინგის მასშტაბიდან გამომდინარე წელიწადში წარმოქმნილი ნარჩენების საერთო მოცულობა 2,000 ტონას აღწევს (აქედან, 500 ტონა არის საშიში ნარჩენის რაოდენობა), რომლის თითქმის 70% გადამუშავდება (რეციკლირებული). ძირითადად გადამუშავებულ ნარჩენს წარმოადგენს:




2,000 ტონა ნარჩენი



სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ხოლო გარდაუვალი/გადაუმუშავებული ნარჩენის შემთხვევაში კომპანია უზრუნველყოფს მის განადგურებას ან ნაგავსაყრელზე შესაბამისი წესების დაცვით განთავსებას შესაბამის კონტრაქტორებთან თანამშრომლობით.

ნარჩენების მართვის პროცესში კომპანია ხელმძღვანელობს შემდეგი პირამიდით:



ორგანიზაციაში რეგულარულად ხორციელდება გარემოსდაცვითი მონიტორინგი და აუდიტები, პერსონალის ტრენინგები გარემოს დაცვით საკითხებზე. ძირითადი გამოწვევებია ნარჩენების სეგრეგაციის სრული დაცვა ყველა საწარმოო უბანზე, საშიში ნარჩენების მართვის გაუმჯობესება, რესურსების (წყალი, ენერგია) ეფექტიანობის კიდევ უფრო გაზრდა, თანამშრომელთა ჩართულობის ზრდა გარემოსდაცვით ინიციატივებში.

ჩვენი საწარმოები და სავაჭრო ობიექტები აღჭურვილია ენერგოეფექტური სისტემებითა და მზის პანელებით, რაც ამცირებს ელექტროენერგიის მოხმარებას და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლას უწყობს ხელს. მუდმივი ინოვაცია, ბუნებრივი რესურსების რაციონალური მოხმარება და ატმოსფერული გაფრქვევების მინიმალიზაცია კომპანიის სტრატეგიის მთავარი ბირთვია. ჩვენს სუპერმარკეტებში წლებია, ეკომეგობრული, ბიოდეგრადირებადი პარკები გამოიყენება, რაც პლასტმასის ნარჩენების შემცირებას ემსახურება და მინიმუმამდე ამცირებს ზიანს გარემოზე.

ორგანიზაცია აგრძელებს გარემოსდაცვითი მართვის სისტემის განვითარებას და მდგრადი პრაქტიკების დანერგვას საწარმოო პროცესებში, რათა გაუმჯობესდეს ნარჩენების აღრიცხვა და კონტროლი, შემცირდეს მათი რაოდენობა, მაქსიმალურად იქნას გადამუშავებული და რესურსები იყოს ეფექტურად გამოყენებული, რაც უზრუნველყოფს ეკოლოგიურად პასუხისმგებელ ოპერირებას.

წლის პირველ ნახევარში განხორციელდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები:

- ▶ გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულების გეგმიური მონიტორინგი.
- ▶ ჩატარდა საწარმოო და საოფისე ტერიტორიების გარემოსდაცვითი ინსპექტირებები.
- ▶ მიმდინარეობდა ნარჩენების წარმოქმნის, შეგროვების, დროებითი დასაწყობებისა და გადაცემის პროცესების კონტროლი.
- ▶ უზრუნველყოფილი იყო ნარჩენების ლიცენზირებული კომპანიებისთვის გადაცემა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- ▶ განხორციელდა თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება ნარჩენების სეპარაციისა და გარემოს დაცვის საკითხებზე.
- ▶ ნარჩენების სეპარაცია განხორციელდა ნარჩენების კატეგორიების მიხედვით.
- ▶ უზრუნველყოფილი იყო სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების განცალკევებული შეგროვება და მარკირება.
- ▶ ნარჩენების აღრიცხვა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება.
- ▶ პერიოდულად შემოწმდა ნარჩენების დროებითი შენახვის ადგილების შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან.
- ▶ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მნიშვნელოვანი დარღვევები არ გამოვლენილა.
- ▶ არ დაფიქსირებულა გარემოს დაზიანებების ან მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ინციდენტის შემთხვევები.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

- ▶ გაგრძელდა გარემოსდაცვითი პროცედურების შესრულების მონიტორინგი


წლის მეორე ნახევარში დამატებით დაგეგმილია:

- ▶ ნარჩენების სეპარაციის ხარისხის გაუმჯობესება.
- ▶ გადამუშავებისთვის გადაცემული ნარჩენების წილის ზრდა.
- ▶ გარემოსდაცვითი შიდა აუდიტების ჩატარება ყველა ძირითად ობიექტზე.
- ▶ წყლისა და ელექტროენერგიის მოხმარების შემცირების ღონისძიებების განხორციელება.
- ▶ თანამშრომლებისთვის გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის თემაზე დამატებითი ტრენინგების ჩატარება.

განახლებადი ენერგია

კომპანია განაგრძობს აქტიურ მუშაობას მზის პანელების განვითარების მიმართულებით, განახლებადი ენერგიის პორტფელის გაფართოების მიზნით. დაგეგმილია დამატებით მცირე (100 kW-მდე) და საშუალო სიმძლავრის (დაახლოებით 500 kW) მზის პანელების მშენებლობა და ექსპლუატაციაში გაშვება.

სამომავლოდ იგეგმება ჰოლდინგის კუთვნილი უძრავი ქონების მაქსიმალური ათვისება იმ ობიექტებზე, სადაც ეს ტექნიკურად და ეკონომიკურად მიზანშეწონილია, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს დადგმული სიმძლავრის პორტფელის შემდგომ ზრდას.



შრომის უსაფრთხოება

2026 წლის პირველ ნახევარში უსაფრთხოების მიმართულებით ძირითადი ყურადღება გამახვილდა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფაზე, საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულებაზე, თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებასა და რისკების პრევენციაზე.


ძირითადი მიდწევები:

- ▶ ჩატარდა სამუშაო ადგილების გეგმიური ინსპექტირება.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

- ▶ განხორციელდა რისკების შეფასება მაღალრისკიან პროცესებში.
- ▶ ჩატარდა უსაფრთხოების ინსტრუქტაჟები ახალი და მოქმედი თანამშრომლებისთვის.
- ▶ შემოწმდა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებისა და ევაკუაციის საშუალებების გამართულობა.
- ▶ მიმდინარეობდა მაკორექტირებელი ღონისძიებების შესრულების მონიტორინგი

2026 წლის პირველ ნახევარში დაფიქსირდა ნული შემთხვევა სამუშაო ტრამეების და ქონებრივი ზიანის კუთხით. ჰოლდინგის მასშტაბით ბოლო მონაცემით (2025) TRIR შეადგინა **0.05**, რაც მიუთითებს საერთო რეგისტრირებადი ინციდენტების დაბალ სიხშირეზე. ხოლო LTIFR შეადგინა **0.21**, რაც ასახავს რომ მხოლოდ რამდენიმე ერთეული შემთხვევა დასრულდა სამუშაო დროის დაკარგვით, რაც ადასტურებს უსაფრთხოების მართვის სისტემის ეფექტიანობას.



მიუხედავად მიღწეული შედეგებისა, ორგანიზაცია აგრძელებს მუშაობას ნულოვანი ინციდენტების (Zero Harm) მიზნის მისაღწევად, განსაკუთრებული აქცენტით პრევენციულ ღონისძიებებსა და ქცევით უსაფრთხოებაზე. კომპანიაში აქტიურად ხორციელდება განახლებული უსაფრთხოების პროცედურებისა და ინსტრუქციების დანერგვა, რეგულარულად ხდება ინსპექტირებებისა და აუდიტების ჩატარება, ინციდენტების შემდგომ კორექტირებისა და პრევენციული ღონისძიებების (CAPA) განხორციელება.

ჰოლდინგის მასშტაბით განხორციელდა შიდა აუდიტი. გამოვლენილი შეუსაბამოებების უმეტესობაზე შემუშავდა მაკორექტირებელი ღონისძიებები. მიმდინარეობს კანონმდებლობასთან და კომპანიის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

კომპანია მიზნად ისახავს უსაფრთხოების კულტურის კიდევ უფრო გაძლიერებას და რისკების მინიმუმამდე დაყვანას, რაც გამოიხატება შემდეგ დასახულ მიზნებში:

- ▶ ნულოვანი ზიანის („Zero Harm“) სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;
- ▶ მაღალი რისკის უბნების დამატებითი მონიტორინგი.
- ▶ უსაფრთხოების კულტურის გაძლიერება.
- ▶ მაკორექტირებელი ღონისძიებების ას პროცენტიანი შესრულების უზრუნველყოფა.
- ▶ მიზნობრივი ტრენინგების გაგრძელება

ორგანიზაცია კვლავ ჩართულია და აქტიურად უწყობს ხელს უსაფრთხო და ჯანმრთელი სამუშაო გარემოს შექმნას. ლიდერების ჩართულობა და თანამშრომელთა აქტიური მონაწილეობა იქნება ძირითადი ფაქტორები 2026 წელს უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების მიღწევაში.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4.3 საზოგადოებასთან ურთიერთობა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR)

სტრატეგიული მიმოხილვა და ტრანსფორმაციის შედეგების შეჯამება

2026 წლის პირველ ნახევარში სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფმა“ (NMG – Nikora Management Group) განაგრძო 2025 წელს დაწყებული კორპორაციული ტრანსფორმაციის პროცესის განვითარება და NMG-ს პოზიციონირების გაძლიერება. აღნიშნულ პერიოდში ძირითადი ყურადღება დაეთმო კორპორაციული იდენტობის განმტკიცებას, კომუნიკაციის ერთიანი სტანდარტის ჩამოყალიბებას, ციფრული არხების განვითარებასა და ჰოლდინგის რეპუტაციული კაპიტალის ზრდას. ეს ცვლილება განაპირობა სს „ნიკორა“-ს საკუთარი კორპორატიული იდენტობის არარსებობამ, რაც ხელს უშლიდა მის დამოუკიდებელ ბიზნეს სუბიექტად აღქმას საზოგადოებაში. სახელის ცვლილება სს „ნიკორა“-დან „Nikora Management Group“-ზე (NMG) იყო, როგორც ვიზუალური განახლება, ასევე სტრატეგიული რეპოზიციონირება, რომელმაც გამოიწვია კორპორატიული და საცალო ბრენდები, გააძლიერა ჰოლდინგის დამოუკიდებელი იდენტობა.

ბრენდული ტრანსფორმაცია და ახალი პოზიციონირება

რებრენდინგის მიზნები:

- ▶ მმართველი ჰოლდინგის, როგორც დამოუკიდებელი ბიზნეს სუბიექტის მკაფიო იდენტიფიცირება;
- ▶ კორპორატიული და საცალო ბრენდების გამოიწვია;
- ▶ საინვესტიციო/მმართველობითი ფუნქციის სწორად პოზიციონირება ბაზარზე;
- ▶ საერთაშორისო და ინსტიტუციური პარტნიორებისთვის უფრო შესაბამისი კორპორატიული აღქმის ფორმირება.

პოზიციონირების შედეგია, რომ **NMG** ჩამოყალიბდა როგორც:

- ▶ მრავალპროფილური საინვესტიციო და მმართველი პლატფორმა;
- ▶ სტრატეგიული პარტნიორი შვილობილი ბიზნესებისთვის;
- ▶ გამჭვირვალე და მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული ბიზნეს ჯგუფი.

კორპორატიული ციფრული ეკოსისტემის შექმნა

ახალი პოზიციონირების მხარდასაჭერად შეიქმნა NMG-ის ახალი კორპორატიული ვებგვერდი - **NMG.COM.GE**, რომლის სტრატეგიული ფუნქციაა:

- ▶ კომპანიის მთავარი კორპორატიული სავიზიტო ბარათი;
- ▶ საინვესტიციო და პარტნიორული კომუნიკაციის ძირითადი ციფრული პლატფორმა;
- ▶ ჯგუფის ბიზნეს არქიტექტურისა და ღირებულებათა ჯაჭვის დემონსტრირების ინსტრუმენტი.

შედეგად მოხდა ჯგუფის სრული ბიზნეს-პორტფელის ერთიან პლატფორმაზე სტრუქტურირებული წარმოდგენა და ჩამოყალიბდა თანამედროვე სტანდარტის, კორპორატიული, ციფრული იდენტობა.

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა NMG-ის კორპორაციული ბრენდის განვითარების პროცესი. საბოლოოდ ჩამოყალიბდა კომპანიის ერთიანი ვიზუალური იდენტობა, რომელიც თანმიმდევრულად აისახა როგორც ციფრულ პლატფორმებზე, ისე კორპორაციულ საკომუნიკაციო მასალებში. პარალელურად, განისაზღვრა ბრენდის საინფორმაციო სტილი და კომუნიკაციის სტანდარტები, რამაც უზრუნველყო ერთიანი და თანმიმდევრული კორპორაციული კომუნიკაცია.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სოციალური მედიის მართვა და ბრენდ კომუნიკაცია

2026 წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად გაფართოვდა NMG-ის ციფრული საკომუნიკაციო არხები. ამოქმედდა კომპანიის ოფიციალური გვერდები სოციალურ ქსელებში, მათ შორის Facebook-ზე, Instagram-სა და LinkedIn-ზე, სადაც წინასწარ განსაზღვრული სქემით ქვეყნდებოდა ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის, ახალი პროექტების, სტრატეგიული გადაწყვეტილებების, პარტნიორობის, კორპორაციული სიახლეებისა და სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივების შესახებ.

კონტენტ სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია:

- ▶ პროდუქტის და ბრენდის ღირებულების კომუნიკაცია
- ▶ გაყიდვების მხარდამჭერი კამპანიები და აქციები
- ▶ რეცეპტები / გამოყენების სცენარები / lifestyle კონტენტი / ბლოგები / რილეები
- ▶ აუდიტორიაზე მორგებული თემატური კონტენტი

მედია და საზოგადოებასთან ურთიერთობა

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულების გაძლიერებას. მომზადდა და გავრცელდა არაერთი პრესრელიზი, ინტერვიუ და კორპორაციული სიახლე, რომლებიც განთავსდა როგორც კომპანიის ოფიციალურ საკომუნიკაციო არხებზე, ისე სხვადასხვა საინფორმაციო და ბიზნესმედიის პლატფორმებზე.

მედიასთან აქტიურმა თანამშრომლობამ უზრუნველყო კომპანიის სტრატეგიული პროექტების, ბიზნეს მიღწევებისა და მნიშვნელოვანი მოვლენების გაშუქება, რამაც ხელი შეუწყო NMG-ის კორპორაციული რეპუტაციისა და ცნობადობის შემდგომ ზრდას.

მომხმარებელთა უკუკავშირის მართვა

მარკეტინგის დეპარტამენტი აგრძელებდა მომხმარებელთა უკუკავშირის და პრეტენზიების ცენტრალიზებულ მართვას, რომელიც მიიღება ელექტრონული ფოსტის, სოციალური ქსელების, Facebook ჩატის და სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით.

საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა მომხმარებელთა მიმართვები და პრეტენზიები, რომელთა ანალიზი სისტემატურად გადაეცემოდა შესაბამის ოპერაციულ დეპარტამენტებს. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს მომხმარებელთა ნდობის შენარჩუნებას, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და კომპანიის საქმიანობის უწყვეტ განვითარებას.

შეფუთვის დიზაინი და პროდუქტის ვიზუალური მართვა

კომპანია აგრძელებს პროდუქციის ვიზუალური კომუნიკაციის სრულ ციკლზე მუშაობას, რომელიც მოიცავს შეფუთვის დიზაინის კონცეფციის შექმნას, ეტიკეტირების რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას ხარისხის მართვის სამსახურთან კოორდინაციით, საბეჭდი ფაილების მომზადებასა და ახალი პროდუქტების ვიზუალური იდენტობის განვითარებას.

2026 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში შემუშავდა „შეფუთვა“-ს ბრენდის ახალი პროდუქტების შეფუთვის დიზაინები, ასევე შეიქმნა ახალი პროდუქტები ახალი ვიზუალური იდენტობით „კორიდა“-ს, „პალომა“-ს ბრენდში. ასევე დაიწყო „ოკეანე“-ს ბრენდის შეფუთვების რედიზაინის პროექტი, რომლის მიზანია ბრენდის ვიზუალური განახლება, პროდუქციის თაროზე გამორჩეულობის გაზრდა და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR)

2026 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში „NMG“-მ გააგრძელა CSR პროგრამების გაფართოება სამი ძირითადი მიმართულებით:



განათლება:

NMG ხელს უწყობს ცოდნის გავრცელებას, უჭერს მხარს ინოვაციურ საგანმანათლებლო ინიციატივებს და ქმნის შესაძლებლობებს მომავალი თაობისთვის.



გარემოს დაცვა:

ბუნების დაცვა - ჩვენი პასუხისმგებლობაა. ჩვენი მიზანია ეკოლოგიურად მდგრადი მომავლის შექმნა. „NMG“-სთვის გარემოზე ზრუნვა გრძელვადიანი ვალდებულებაა.



შრომითი უფლებები:

შრომითი უფლებები ადამიანის ფუნდამენტური ღირებულებაა. ვქმნით უსაფრთხო, თანასწორ და განვითარებისკენ მიმართულ სამუშაო გარემოს, სადაც ყოველი თანამშრომელი მნიშვნელოვანია. ჩვენ გვჯერა, რომ წარმატებული კომპანია ბედნიერ და მოტივირებულ თანამშრომლებს ქმნის

CSR-ის მიმართულებით განხორციელებული ინიციატივები ეფუძნება კომპანიის გრძელვადიან სტრატეგიას და მიზნად ისახავს საზოგადოებისთვის მდგრადი ღირებულებების შექმნას.

განათლების მიმართულება

განათლების მხარდაჭერა „NMG“-ის სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. 2026 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში კომპანიამ განაგრძო მაღალმთიანი რეგიონების სკოლების მხარდაჭერის პროგრამა.

საანგარიშო პერიოდში საგანმანათლებლო რესურსები გადაეცა ოთხ საჯარო სკოლას:

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

- ▶ სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლატალის საჯარო სკოლა;
- ▶ სსიპ მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ მულახის საჯარო სკოლა;
- ▶ სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხემლისხიდის საჯარო სკოლა;
- ▶ სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაკიჯვრის საჯარო სკოლა.

სკოლებს გადაეცათ კომპიუტერული ტექნიკა, ბიბლიოთეკა და მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური საკანცელარიო ნივთები.

პროგრამის ფარგლებში დაწყებულია კიდევ ოთხი მაღალმთიანი სკოლის მხარდაჭერისთვის მოსამზადებელი სამუშაოები, რომელთა განხორციელება დაგეგმილია მიმდინარე წლის მეორე ნახევარში.

ამასთან, გაგრძელდა აგრარული უნივერსიტეტის კვების ტექნოლოგიის III და IV კურსის წარმატებული სტუდენტების სტიპენდიებით მხარდაჭერის პროგრამა.

2026 წელს დაიწყო ახალი საგანმანათლებლო პროექტი - დეფიციტური პროფესიების მხარდაჭერის პროგრამა. გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი კოლეჯ „სპექტრთან“, რომლის ფარგლებში ოთხი სტუდენტი საწარმოო პრაქტიკას გადის „NMG“-ის საწარმოებში. სტუდენტებს დაენიშნათ ყოველთვიური სტიპენდია, ხოლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მათ ექნებათ კომპანიაში დასაქმების შესაძლებლობა.

გარემოს დაცვითი მიმართულება

ჰოლდინგში საწარმოები და სავაჭრო ობიექტები აღჭურვილია ენერგოეფექტური სისტემებითა და მზის პანელებით, რაც ამცირებს ელექტროენერგიის მოხმარებას და წვლილი შეაქვს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში. მუდმივი ინოვაცია, ბუნებრივი რესურსების რაციონალური მოხმარება და ატმოსფერული გაფრქვევების მინიმალიზაცია ორგანიზაციის სტრატეგიის ბირთვია. გარემოზე ზრუნვა NMG-ის მდგრადი განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია. კომპანია აგრძელებს ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვას, განახლებადი ენერგიის გამოყენებასა და ნარჩენების მართვის სისტემების განვითარებას.

„ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს მასშტაბით აქტიურად ხორციელდება გადამუშავებადი ნარჩენების სეპარაცია, მათ შორის მუყაოს, პლასტიკის, პოლიეთილენისა და მცენარეული თუ ტექნიკური ზეთების ნარჩენების. მათი გადამუშავება პარტნიორი კონტრაქტორი კომპანიების მიერ ხორციელდება. გადამუშავებული ნარჩენი საწარმოო ციკლში აღარ ბრუნდება.

კომპანია ეტაპობრივად აგრძელებს საწარმოებისა და ობიექტების ეკოლოგიური ტრანსფორმაციის პროცესს, რომლის მიზანია ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და გარემოზე ზემოქმედების შემცირება.

შრომითი უფლებები

ყოველი თანამშრომლისთვის უზრუნველყოფილია გარემო, სადაც აღიარებული და გათვალისწინებულია თითოეული ადამიანის მათი უნიკალური საჭიროებები თუ შესაძლებლობები. თითოეული თანამშრომელი იღებს თანაბარ შესაძლებლობებს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისთვის. მიზნების მიღწევა ინდივიდუალური მიდგომით არის შესაძლებელი.

კომპანია იცავს შრომის უსაფრთხოების ყველა სტანდარტს, რათა სამუშაო სივრცე ყველასთვის დაცული და კომფორტული იყოს. დაცულია თანამშრომლის პირადი ინფორმაცია სრულად კანონმდებლობის შესაბამისად და ორგანიზაციის შიდა პოლიტიკა სრულად შეესაბამება შრომის კოდექსის მოთხოვნებს. კომპანია ხელს უწყობს დასაქმებულებს ცოდნის გადრეზავებაში და პროფესიულ განვითარებაში, ფინანსდება დარგთან დაკავშირებული ტრენინგები, მოქმედებს დუალური საგანმანათლებლო პროგრამა, რაც აკადემიური და პრაქტიკული სწავლების კომბინაციაა და ემსახურება საწარმოო პროფესიების პოპულარიზაციას, ასევე სწავლის პარალელურად დასაქმების ხელშეწყობას შესაბამისი ანაზღაურებით.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4.4 „კომპანიის“ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები

„კომპანია“ მგრძნობიარეა, როგორც საერთო მაკროეკონომიკური ცვლილებების, ასევე სამომხმარებლო მოთხოვნის მიმართ, რომელთა ცვლილებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე.

ბიზნესის მომგებიანობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ზოგადი ეკონომიკური პირობების გაუარესებამ. „კომპანიის“ არ აქვს კონტროლი ეკონომიკურ ფაქტორებზე, რომელიც გავლენას ახდენს მის საქმიანობაზე, როგორიცაა სავალუტო კურსი, ფულადი გზავნილების მოცულობა, ინფრასტრუქტურული დანახარჯების მოცულობა, სურსათის ფასები, ნავთობის ფასები და სამომხმარებლო ხარჯები. ეს ფაქტორები უფრო ართულებს „კომპანიისთვის“ წინასწარ განჭვრიტოს ცვლილებები მისი მომწოდებლის ხარჯებში, მომხმარებლების განწყობაში, და ფასების დონეში რამაც შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ეფექტურობაზე მისი საოპერაციო და ფინანსური შედეგების თვალსაზრისით.

სამომხმარებლო ფასის ინდექსით განსაზღვრული ინფლაციის მაჩვენებელი მნიშვნელოვანი ინდიკატორია, როგორც ქვეყნის ეკონომიკისთვის, ასევე „კომპანიის“ ბიზნესისთვის. სამომხმარებლო კალათის მნიშვნელოვანი ნაწილი შედგება ისეთი სწრაფად ბრუნვადი პროდუქტებისგან, რომელთაზე „კომპანიის“ ძირითადი საქმიანობაა დაკავშირებული. ქვეყანაში ფასების ზრდის სამიზნეზე მაღალ მაჩვენებელზე ხანგრძლივად შენარჩუნებამ და/ან მისმა არასტაბილურმა დინამიკამ შესაძლოა გაზრდილი ხარჯებისა და მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის შემცირების გამო გაზარდოს წნეხი მარჟაზე, რამაც, თავისთავად, შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესსა და ფინანსურ მაჩვენებლებზე.

რყევები საქართველოს საცალო ყოველდღიური მოხმარების საქონლის ბაზარზე ისტორიულად დაკავშირებულია ცვლილებებთან საერთო ეკონომიკურ პირობებში, მოხმარებასთან, რომელიც ზოგადად იზრდება ეკონომიკური ექსპანსიის დროს და მცირდება რეცესიის დროს. საქართველოში ეკონომიკური ვარდნა გავლენას ახდენს როგორც საერთო მაკროეკონომიკურ პირობებზე, ასევე პირადი მოხმარების დონეზე. სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირებამ საქართველოში ასევე შესაძლოა გამოიწვიოს კონკრეტულ მომწოდებლებთან მოქმედი მიწოდების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფასდაკლების პირობის შეუსრულებლობა, რომელიც საზიანო გავლენას იქონიებს კომპანიის საოპერაციო შედეგებზე.

„კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.

2025 წლის 9 თვის მდგომარეობით, „ნიკორა“ 18.7%-იანი ზაზრის წილით ბრენდულ ქსელებში, ორგანიზებული FMCG ბაზრის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. აღსანიშნავია, რომ ორგანიზებულ FMCG ბაზარზე მძაფრი კონკურენცია შეინიშნება. 2024 წელს სპარი, მაგნიტი, დეილი და გვირილა გაერთიანდნენ დეილი ჯგუფის ჰოლდინგის ქვეშ და გახდნენ საქართველოს ბაზრის ლიდერები 33%-იანი წილით. ამავე წელს, ბაზარზე 20.5% ზაზრის წილით, მეორე ადგილი დაიკავა ქსელმა „ორი ნაბიჯი“. ისტორიულად მოწინავე პოზიციის მიუხედავად, 2025 წელს „ნიკორამ“, გამაფრებული კონკურენციისა და დეილი ჯგუფის კონსოლიდაციის ფონზე, 18.7% ზაზრის წილით მესამე ადგილი დაიკავა.

ამასთან, ბაზარი, რომელზეც „კომპანია“ ოპერირებს, არის ძალიან ცვალებადი და ხასიათდება ახალი მოთამაშეების გამოჩენით, არსებული მოთამაშეების გასვლითა და მოთამაშეების კონსოლიდაციით/გაერთიანებით. ახალ მოთამაშეებს აქვთ სხვადასხვა დონის ფინანსური შესაძლებლობები და ბაზარზე მუშაობის გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ ბაზარზე ბოლო 27 წლის მანძილზე წარმატებულად ფუნქციონირებს, ხასიათდება მზარდი ტენდენციით და ფართოვდება, ახლად გამოჩენილი კონკურენტების გამოცდილების მაღალი დონის ან „კომპანიის“ მიერ თავისი განვითარების მიზნების (რომლებიც ძირითადად მოიცავს ბაზრის წილის ზრდას და პლატფორმის გაფართოებას ქვეყნის რეგიონებში) მიუღწევლობის შედეგად, „კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

„კომპანია“ შესაძლოა ვერ მართოს ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებული საოპერაციო რისკები

„კომპანია“ სწრაფად გაიზარდა მას შემდეგ რაც საქმიანობა დაიწყო. მაღაზიათა ქსელი, წარმოდგენილი შვილობილი „ნიკორა ტრეიდი“-თ, რომელიც მოიცავდა 52 მაღაზიას 2010 წელს, 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით მოიცავდა 674 მაღაზიას. ხოლო 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით წარმოდგენილი იყო 685 მაღაზიით.

ზრდის ამგვარი ტემპის გამო შესაძლოა შემცირდეს კომპანიის ეფექტურობა, წარმოიქმნას სირთულეები ოპერაციების დონეზე, გამოიწვიოს წყვეტა საწარმოო ციკლში (შესყიდვა, მომარაგება).

კომპანიას შესაძლოა საფრთხე შეუქმნას რომელიმე მომწოდებელზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა.

რომელიმე მომწოდებელზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა „კომპანიას“ მომწოდებელთან ურთიერთობის გაუარესების ან მომწოდებლის ბაზრიდან გასვლის შემთხვევაში შესაძლოა ისეთი სირთულეები შეუქმნას, როგორებიცაა წყვეტა პროდუქციის მოწოდებაში, რეალიზაციების შემცირება, მომხმარებელთა დაკარგვა, დამატებითი ლიკვიდური სახსრების მიმართვა საბრუნავ კაპიტალში და სხვა. აღსანიშნავია, რომ „კომპანიას“ აქვს მომწოდებლების ფართო და მრავალფეროვანი ბაზა, რომელიც მოიცავს დისტრიბუტორებს, იმპორტიორებსა და ადგილობრივ მწარმოებლებს. დივერსიფიცირებული მომწოდებლების ბაზა საშუალებას აძლევს „კომპანიას“ უზრუნველყოს სტაბილური მომარაგება და მინიმუმამდე დაიყვანოს ზემოთ ხსენებული რისკები, დაკავშირებული ერთ ან რამდენიმე მომწოდებელთან შესაძლო შეფერხებებთან. მიმდინარე მდგომარეობით უმსხვილესი მომწოდებლის წილი („ნიკორა ჯგუფში“ შემავალი კომპანიების გარდა) ნაკლებია 8%-ზე. გარდა ამისა, თითოეული პროდუქტისთვის მიწოდებას რამდენიმე კონკურენტი კომპანია ახორციელებს, შესაბამისად, რომელიმე მათგანის გასვლა ქსელიდან არ იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებას კომპანიის საქმიანობაში, რადგან ასეთ მომწოდებელს მარტივად ანაცვლებს მისი კონკურენტი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მნიშვნელოვანი პროდუქტების საკუთარი ძალებით იმპორტი.

კომპანიას ჰყავს მომწოდებლები, როგორც რუსეთიდან, რომელთა წილი 2024 წლის იმპორტებში 19%-ია. კომპანიის შეფასებით, დამოკიდებულება კრიტიკული არა არის ვინაიდან კომპანიას ჰყავს ალტერნატიული მომწოდებლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, და აქვს გამოცდილება გაუმკლავდეს აღნიშნულ რისკ ფაქტორს - კერძოდ, რუსეთ-უკრაინის ომის საწყის პერიოდში მყისიერად იქნა ჩანაცვლებული შესაბამისი მომწოდებლები და კომპანიის ოპერაციებს, არსებითი შეფერხება არ შეჰქმნია. თუმცა, აღნიშნული ბუფერების მიუხედავად, მსხვილი მომწოდებელი ქვეყნის ჩანაცვლების საჭიროებამ შესაძლოა გამოიწვიოს გაუთვალისწინებელი ხარჯები და მარაგების შევსების პრობლემები, რაც უარყოფით აისახება კომპანიის საოპერაციო შედეგებზე.

კომპანია შესაძლოა აღმოჩნდეს მარაგების გაუვარგისების რისკის წინაშე პროდუქციის ვადის გასვლის გამო.

იმ შემთხვევაში, თუ „კომპანია“ არ დაიცავს პროდუქციის შენახვის ნორმებს, შესაძლოა იგი დადგეს მარაგების გაუვარგისების რისკის წინაშე. ამასთან ერთად, თუ „კომპანია“ სწორად ვერ მართავს პროცესებს და მოხდება ვადაგასული პროდუქციის რეალიზაცია, შესაძლოა მიადგეს რეპუტაციული და სამართლებრივი ზიანი, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მის საოპერაციო შედეგებზე. ამჟამად, მარაგების ბალანსის მონიტორინგი ხორციელდება საოპერაციო განყოფილების მიერ, პროდუქტის ვიზუალური მდგომარეობის, ვადის გასვლის, თაროების მოწესრიგების და სხვა პირობების რეგულარული შემოწმების გზით. გარდა ამისა, მაღაზიებში პროდუქციის განლაგება და რეალიზაცია ხდება „FIFO“ მეთოდის დაცვით, რაც გულისხმობს რიგითობის დაცვას და პირველ რიგში უფრო ადრე შეძენილი პროდუქტის განლაგებასა და გაყიდვას. აღსანიშნავია, რომ დაზიანებული და/ან ვადაგასული პროდუქტები უბრუნდება მომწოდებელს ან იგზავნება საწყობში გასანადგურებლად.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

„კომპანიას“ არ აქვს დაზღვევა იჯარით აღებულ კომერციულ ფართებზე და შესაბამისად, რამდენიმე სადაზღვევო შემთხვევის ერთდროულად დადგომამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს მის საქმიანობაზე.

„კომპანიის“ მაღაზიები ძირითადად განთავსებულია იჯარით აღებულ ფართებში. შესაბამისად, არც თვითონ უძრავი ქონება, სადაც მაღაზიებია განთავსებული და არც მათში განთავსებული მარაგები თუ მანქანა-დანადგარები არ არის დაზღვეული. იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად დადგება სადაზღვევო რისკი ობიექტების მნიშვნელოვან რაოდენობაში ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საოპერაციო შედეგებსა და ზოგადად, მის საქმიანობაზე.

„კომპანიას“ მიაჩნია, რომ აღნიშნული რისკი მეტწილად დივერსიფიცირებულია, ვინაიდან მაღაზიები საკმაოდ მცირე მოცულობისაა და ერთი კონკრეტული ლოკაციის დაზიანებამ (თუნდაც სრულმა) არ შეიძლება მოიტანოს იმხელა ზიანი, რაც ფინანსურად მომგებიანს გახდიდა შესაბამისი ობიექტების დაზღვევას.

აღსანიშნავია, რომ „კომპანიას“ დაზღვეული აქვს კუთვნილი უძრავი ქონება და მასში არსებული პროდუქცია.

„კომპანიის“ გაყიდვები დამოკიდებულია დისტრიბუციის არხებზე, რომელთა შეფერხებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობაზე.

„კომპანიას“ აქვს ინტეგრირებული პროდუქციის მიწოდების არხები საკუთარ სტრუქტურაში, რაც მოიცავს ჯგუფში შემავალ სადისტრიბუციო განყოფილებას, რომელიც ამარაგებს „კომპანიას“. დისტრიბუციის არხებში შეფერხებამ შესაძლოა გამოიწვიოს გაყიდვების შემცირება, მომხმარებლის დაკარგვა და სხვა უარყოფითი გავლენები „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე.

საცალო ვაჭრობის სექტორის კონსოლიდაციამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

ამჟამად საცალო ვაჭრობის სექტორი საქართველოში დაყოფილია ორგანიზებულ და არაორგანიზებულ სეგმენტებად. საჯაროდ ხელმისაწვდომი ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით ორგანიზებულ სეგმენტში წამყვანი პოზიცია გაყიდვების მოცულობის მიხედვით „კომპანიას“ უჭირავს. არსებობს რისკი, რომ მოხდეს ორგანიზებული ბაზრის კონსოლიდაცია და ბაზარზე შედეგად გამოჩნდეს დამატებით ერთი ან რამდენიმე მსხვილი კონკურენტი მოთამაშე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საფასო კონკურენციის გამძაფრება, მარჟების შემცირება და ბაზრის წილების ცვლილება.

2024 წლის ივლისში საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ თანხმობა განაცხადა შპს „დეილის“ (ს/ნ: 406088638) მიერ შპს „ფუდმარტის“ (ს/ნ: 404460187) 100%-იანი წილის შესყიდვაზე რომლის შედეგადაც გაერთიანდება სპარის (მათ შორის იოლი), დეილის და გვირილას ქსელები. არაორგანიზებული სეგმენტი დანაწევრებულია ინდივიდუალურ მოთამაშეებად და მათ კონსოლიდაციის ალბათობა შედარებით დაბალია, თუმცა შესაძლებელია მოხდეს არაორგანიზებული სეგმენტის ეტაპობრივი ჩანაცვლება ორგანიზებული მოთამაშეების მიერ გრძელვადიან პერსპექტივაში. აღნიშნული ტენდენცია დასტურდება ორგანიზებული ბაზრის წილობრივი ზრდით, ხოლო არაორგანიზებული ბაზრის წილის შემცირებით - 2019 წელს ორგანიზებული ბაზრის წილი FMCG ბაზარზე 30%-ს, ხოლო 2023 წელს 36%-ს წარმოადგენდა.

ვალუტის კურსის ცვლილებებმა იქონია და შეიძლება მომავალშიც იქონიოს გავლენა „კომპანიაზე“.

„კომპანიის“ ხარჯების გარკვეული ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, უმეტესად აშშ დოლარში, მაშინ როცა მისი შემოსავლის დიდი ნაწილი დენომინირებულია ქართულ ლარში. „კომპანია“ პროდუქციის უდიდეს ნაწილს ადგილობრივ ბაზარზე ყიდულობს ადგილობრივი მომწოდებლებისგან და პირდაპირ ყიდის მომხმარებელზე. ადგილობრივი იმპორტიორებისგან განხორციელებული შესყიდვები ლარში არის დენომინირებული, კურსის ცვლილება პირველ რიგში იმპორტიორებზე ახდენს გავლენას და მხოლოდ შემდეგ შეიძლება გადაეცეს „კომპანიას“. გასაყიდი საქონელი სწრაფად ბრუნვადია, რის გამოც „კომპანიას“ საკურსო ცვლილებების შედეგად შეცვლილი თვითღირებულების გასაყიდ ფასებში ასახვა მაღევე შეუძლია. იმის ზუსტად დადგენა თუ თავად ადგილობრივმა მომწოდებლებმა პროდუქციის რა ნაწილი შემოიტანეს იმპორტის

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მეშვეობით და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ადგილობრივი მომწოდებლების ფასებზე გაცვლით კურსების ცვლილებას მენეჯმენტის შეფასებით შეუძლებელია.

„კომპანიის“ საიჯარო კონტრაქტების 70%-მდე აშშ დოლარშია დენომინირებული. უცხოური ვალუტის იჯარები ფიქსირებული განაკვეთისაა, ხოლო ლარის იჯარები უმეტესად კონკრეტული მაღაზიის ბრუნვაზეა დაკავშირებული. იჯარების უმეტესობის საშუალო ხანგრძლივობა 2-10 წელს შეადგენს. „კომპანიას“ ყოველთვის არ აქვს შესაძლებლობა აწარმოოს მოლაპარაკებები სახელმწიფოებო პირობებთან დაკავშირებით, რათა შეამციროს საკუთარი სავალუტო რისკები, და, ამასთან, ფასების ზრდა ქართულ ლარში შეიძლება იყოს კონტრპროდუქტიული (გამოიწვიოს მომხმარებელთა რაოდენობის შემცირება). შედეგად, ვალდებულებების ვალუტის კურსის მიმართ ლარის კურსის ნებისმიერმა გაუფასურებამ შესაძლებელია გამოიწვიოს წმინდა მოგების შემცირება, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება განაპირობოს ბიზნესის ზრდისკენ მიმართული ინვესტიციების შეწყვეტა და მენეჯმენტის მობილიზება არსებული საბაზრო პოზიციის შენარჩუნებისკენ. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ სურს შეამციროს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების რაოდენობა, მსგავსი ზომები არ იძლევა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისგან დაცვის გარანტიას. თუ ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში შეიცვლება, ამან შესაძლებელია „კომპანიას“ მიაყენოს ზიანი, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

„კომპანიას“ ადეკვატური ლიკვიდურობა აქვს, თუმცა უარყოფითი საბრუნავი კაპიტალით.

სარეიტინგო სააგენტოს უკანასკნელი შეფასების ანგარიშის (26.08.2026) თანახმად კომპანიის ლიკვიდურობა ადეკვატურია. სარეიტინგო სააგენტოს პროგნოზში „კომპანიის“ თავისუფალი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან უარყოფითი იქნება მოკლევადიან და საშუალოვადიან პერსპექტივაში. აღნიშნული განპირობებულია „კომპანიის“ მასშტაბური CAPEX გეგმიდან, რის დაფინანსებასაც „კომპანია“ თავისი და მისი შვილობილის, „ნიკორა ტრეიდის“ ობლიგაციების გამოშვებით აპირებს.

აღსანიშნავია, „ჯგუფის“ მნიშვნელოვანი დამოკიდებულება მოკლევადიან ვალდებულებებზე. კომპანიას აქვს უარყოფითი საბრუნავი კაპიტალი, ვინაიდან საცალო ვაჭრობის სეგმენტში, კომპანია მომხმარებლებისგან მომენტალურად იღებს შემოსავლებს, ხოლო მომწოდებლებთან კი აქვს მოქნილობა თანხა გადაიხადოს კონსიგნაციით. უარყოფითი საბრუნავი კაპიტალი საცალო ვაჭრობის სფეროს კომპანიებისთვის დამახასიათებელია, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ მომწოდებლებთან კონსიგნაციის დღეები შემცირდება, „კომპანია“ დადგება ლიკვიდურობის რისკის წინაშე.

აღნიშნულმა ლიკვიდურობის რისკმა, შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ დაფინანსების მოთხოვნების ზრდა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია გაზარდოს „კომპანიის“ სავალო ტვირთი. აღნიშნულმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ განვითარების სტრატეგიასა და ასევე მის უნარზე დროულად შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები.

„კომპანიას“ შესაძლებელია წარმოეშვას მნიშვნელოვნად მეტი დავალიანება ან განახორციელოს სხვა ქმედებები, რამაც შეიძლება გაზარდოს ზედმეტი დავალიანების წარმოშობის რისკების ინტენსივობა.

ორგანული ზრდის ეფექტურად მართვის მიზნით, „კომპანიამ“ დროულად უნდა გააფართოვოს და განავითაროს თავის ოპერაციული სისტემები და პროცედურები. თუ „კომპანია“ ვერ შეძლებს ამას საჭირო სახსრების ან კვალიფიციური პერსონალის არარსებობის გამო, შესაძლებელია იგი ვეღარ მოემსახუროს მისი მომხმარებლების მოთხოვნებს, აიყვანოს და შეინარჩუნოს ახალი თანამშრომლები, დაიწყოს ახალი ბიზნესი, ეფექტურად მართოს ბიუჯეტის ხარჯები, ზუსტად განსაზღვროს ოპერაციული ხარჯები ან სხვაგვარად ეფექტურად წარმართოს საკუთარი ბიზნესი. იმ საქმიანობის სფეროების ბუნების გათვალისწინებით, რომლებშიც „კომპანიას“ ოპერირებს, შესაძლებელია მას დროდადრო მოუწიოს პოტენციურ დანახარჯებთან დაკავშირებით მენეჯმენტის გათვლების შეცვლა და, შედეგად, უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, შეიძლება ასევე შეიცვალოს მისი დაფინანსების მოთხოვნები. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს პროექტის

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

დანახარჯების რესტრუქტურისა და გაზარდოს ან შეამციროს „კომპანიის“ მოსალოდნელი ფულადი სახსრების მიმოქცევა.

მითითებულმა რისკმა, ასევე ზემოთ აღწერილმა ნებისმიერმა სხვა ფაქტორმა, შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ დაფინანსების მოთხოვნების ზრდა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია გაზარდოს „კომპანიის“ სავალო ტვირთი. ზემოთ აღწერილმა ფაქტორებმა, შესაძლოა ასევე გამოიწვიოს ფულადი ნაკადების შემცირება, რაც თავის მხრივ შეამცირებს კომპანიის შესაძლებლობას მოემსახუროს ვალდებულებებს და გაზარდოს ლევერიჯი (გამოხატული Debt/EBITDA კოეფიციენტებით, რომელიც ფიგურირებს საბანკო კოვენანტებში).

აღნიშნულმა გარემოებებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ განვითარების სტრატეგიასა და ასევე მის უნარზე დროულად შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები.

შრომითმა დავებმა და გაფიცებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ წარმოების დონესა და მომგებიანობაზე.

„კომპანიის“ საქმიანობა დამოკიდებულია სამუშაო ძალასთან დადებითი ურთიერთობების შენარჩუნებაზე. „კომპანიის“ წარმოების დონეზე ზეგავლენა შეიძლება იქონიოს შრომითმა დავებმა პროფკავშირებთან რამაც შეიძლება გამოიწვიოს საქმიანობის შენელება, შეფერხება ან შეჩერება გაფიცვის შემთხვევაში. შრომითი პროცესის შეჩერებამ შეიძლება გამოიწვიოს პროდუქციის მომხმარებელზე მიწოდების შეფერხება ან დროებითი შეჩერება, რამაც შესაძლოა გრძელვადიანი უარყოფითი გავლენა იქონიოს მომხმარებელთან ურთიერთობასა და საბაზრო პოზიციებზე. „კომპანიის“ საქმიანობაზე ასევე შეიძლება გავლენა იქონიონ მისი მომწოდებლების შრომითმა დავებმა თავიანთ თანამშრომლებთან და პროფკავშირებთან.

„კომპანიის“, მისი მომწოდებლების თანამშრომლების გაფიცებმა, სამუშაოს შეჩერებამ ან შენელებამ მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის წარმოების უნარზე.

უმაღლესი ხელმძღვანელობისა და კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის და შენარჩუნების შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიის“ საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე.

„კომპანია“ დამოკიდებულია ტოპ მენეჯმენტზე საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულებით, როგორცაა ხარისხის კონტროლი, გაყიდვები და მარკეტინგი, ლოგისტიკა, ფინანსური მართვა და სხვა. „კომპანიის“ ტოპ მენეჯმენტის ბევრ წევრს აქვს დიდი გამოცდილება საცალო ვაჭრობის და საკვების წარმოების სფეროებში. „კომპანიის“ წარმატება დამოკიდებულია შესაფერისი, კვალიფიციური და გამოცდილი ხელმძღვანელი პირების იდენტიფიცირებაზე, აყვანაზე, განვითარებასა და შენარჩუნებაზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ FMCG სექტორის მზარდი კონკურენციის პირობებში, ახალ და კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა იზრდება, ხოლო ადამიანური რესურსების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. თუ „კომპანია“ ვერ შეძლებს ტოპ მენეჯმენტის წევრებისა და ძირითადი პერსონალის დროულად მოზიდვას, განვითარებასა და შენარჩუნებას, „კომპანიას“ შესაძლოა მოუწიოს სახელფასო ხარჯების ზრდა, რამაც შესაძლოა არსებითად უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის წარმოების უნარზე.

საქართველოში კორპორაციული მართვის სტანდარტები მუდმივად ვითარდება. ეს განსაკუთრებით რელევანტურია ანგარიშვალდებული საწარმოების შემთხვევაში. „კომპანია“ იცავს რა კორპორაციული მართვის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, 2023 წელს პირველად წარადგინა კორპორაციული მართვის ანგარიში. იმ შემთხვევაში თუ საკანონმდებლო დონეზე დაწესდება დამატებითი მოთხოვნები შიდა კორპორაციული მოწყობის ნაწილში, აღნიშნულმა რეგულაციებმა შესაძლოა გაზარდოს „კომპანიის“ სახელფასო და/ან ადმინისტრირებისათვის საჭირო რესურსი. ამან კი შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2014-2025 წლების აუდიტის დასკვნა მოდიფიცირებულია, რის გამოც ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი მონაცემები, რომელზეც აუდიტორმა პირობითი მოსაზრება გამოხატა, შესაძლოა ზუსტად არ ასახავდნენ ეკონომიკურ რეალობას. ასევე, ახალი ან არსებული ანგარიშგების სტანდარტების არასწორმა ინტერპრეტაციამ შესაძლოა არასწორად ასახოს „კომპანიის“ არააუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი შედეგები და „კომპანიის“ ფინანსების ეკონომიკური რეალობა

აუდიტის პირობითი მოსაზრების საფუძველი გახდა გუდვილის შეფასების მეთოდი. „კომპანიის“ და მისი შვილობილების კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩართული იყო 2015 წელს შპს „ნუგეშის“ 100%-ის შეძენისას წარმოქმნილი გუდვილის ღირებულება. შპს „ნუგეშის“ შეძენისას გუდვილის ღირებულება დათვლილი იყო როგორც სხვაობა შეძენისას გადახდილ ანაზღაურებასა და შეძენის მომენტში შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სააღრიცხვო ღირებულებას შორის. გუდვილის ღირებულების განსაზღვრის ასეთი მეთოდი არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

აუდიტორის მოდიფიცირებული დასკვნის შინაარსიდან გამომდინარე არსებობს რისკი, რომ „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგება ზუსტად არ ასახავდეს მის ეკონომიკურ რეალობას და რომ ანგარიშგებაში ნაჩვენები რიცხვები რომლებზეც აუდიტორმა მოდიფიცირებული დასკვნა გამოხატა მატერიალურად განსხვავდებოდნენ რეალური მონაცემებისგან.

„კომპანიის“ მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ დროულად მოახდენს ჯგუფის საანგარიშგებო პოლიტიკაში შესაბამისი ახალი თუ უკვე არსებული სტანდარტების, ცვლილებებისა და ინტერპრეტაციების ასახვას.

კომპანია დამოკიდებულია ბრენდსა და მის რეპუტაციაზე, რეპუტაციულმა ზიანმა შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე.

ადგილობრივ, ბაზარზე კომპანია სარგებლობს კარგი რეპუტაციითა და მომხმარებლების მაღალი ნდობით, შესაბამისად, კომპანიას დანერგილი აქვს მთელი რიგი ოპერაციებისა, რომ უზრუნველყოს პროდუქციის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობა და ჯანმრთელობისთვის უვნებლობა, მათი პერიოდული შემოწმებით და ტექნოლოგიების მუდმივი მონიტორინგითა და გაუმჯობესებით.

სს ნიკორა ტრეიდს დანერგილი აქვს სურსათის უვნებლობის, ხარისხის და გარემოდაცვითი მენეჯმენტის სისტემები და მიღებული აქვს შესაბამისი ISO სერთიფიკატი: 22000:2018, ვადიანობით 2026 წლის 18 დეკემბრამდე, ISO 9001:2015, ვადიანობით 2026 წლის 18 დეკემბრამდე; ISO 14001:2015 ვადიანობით 2026 წლის 14 ნოემბრამდე. ემიტენტის ჯგუფში შეავალი კომპანიები შპს ნიკორა, შპს ჩვენი ფერმერი, შპს ოკეანე, შპს მზარეული 1, შპს კორიდა ფლობენ, ISO სერთიფიკატს: 22000:2018, ვადიანობით 2026 წლის 30 ნოემბრამდე, ISO 9001:2015, ვადიანობით 2026 წლის 30 ნოემბრამდე. არსებობს რისკი იმისა, რომ გაუთვალისწინებელი შემთხვევების დადგომის შედეგად კომპანიამ ვერ შეძლოს ხარისხის დაცვა და ჯგუფს შეეღაპოს რეპუტაცია, რაც მნიშვნელოვნად აისახება მის საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე“.

„კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგის შემცირებამ შესაძლოა შეზღუდოს ახალ სასესხო საშუალებებზე მოლაპარაკებების ან სასესხო კაპიტალის ბაზრებზე წვდომის შესაძლებლობა და გაზარდოს სესხის აღების ხარჯები ან/და უარყოფითად იმოქმედოს კრედიტორებთან ურთიერთობაზე.

„კომპანიის“ ან მისი შვილობილი „ნიკორა ტრეიდის“ საკრედიტო რეიტინგის გაუარესებამ, შესაძლოა გაზარდოს კომპანიის მიერ დაფინანსების მოპოვების ღირებულება, ან შეზღუდოს „კომპანიის“ შესაძლებლობა მოიზიდოს დაფინანსება, რაც თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედებს „კომპანიის“ კაპიტალური დანახარჯების გეგმებსა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე.

„კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგი მნიშვნელოვანი ფაქტორია „კომპანიის“ მიერ სესხების სახსრების ღირებულების განსაზღვრაში. ამ დოკუმენტის მომზადების დღისთვის, ემიტენტს Scope-ის მიერ მინიჭებული აქვს ემიტენტის გრძელვადიანი რეიტინგი B+ (ნეგატიური პერსპექტივით). თუმცა არ არსებობს გარანტია იმისა, რომ სარეიტინგო სააგენტო მომავალში არ გააუარესებს კომპანიის საკრედიტო რეიტინგს. საკრედიტო

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“-ს ნახევარი წლის კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება 2026 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული ექვსი თვისთვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

რეიტინგის დაქვეითების საფუძველი შესაძლოა გახდეს, მათ შორის და არა მხოლოდ, ისეთი ფაქტორებიდან გამომდინარე, როგორიცაა სარეიტინგო სააგენტოს შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილება, კომპანიის საკრედიტო მაჩვენებლების გაუარესება განგრძობითად, ქვეყნის რეიტინგის შემცირება და სხვა.

უძრავი ქონების შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან დაშვებებს, რის გამოც ფინანსურ ანგარიშგებაში მოყვანილი მონაცემები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს უძრავი ქონების სამართლიანი ღირებულებისგან.

„კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულ იქნა დამოუკიდებელი შემფასებლის სს „სავის“ მიერ მომზადებული უძრავი ქონების შეფასების ანგარიში. უძრავი ქონების საშემფასებლო საქმიანობა არ არის რეგულირებადი საქართველოში, არ მოითხოვს სახელმწიფო ლიცენზირებას და არ ექვემდებარება სახელმწიფო ზედამხედველობას.

უძრავი ქონების შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან დაშვებებს. შეფასების პროცესში უზუსტობის არსებობის შემთხვევაში უძრავი ქონების სამართლიანი ღირებულება შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ღირებულებისგან.

კომპანიას შესაძლოა დაერღვეს საბანკო ხელშეკრულებებით ან „ობლიგაციების“ პირობებით განსაზღვრული ფინანსური და/ან არა-ფინანსური დათქმები.

„კომპანიამ“ შეიძლება ვერ უზრუნველყოს საკრედიტო ხელშეკრულებით ან ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური ან არა-ფინანსური დათქმების შესრულება. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ „კომპანია“ შეძლებს გათავისუფლების წერილების (waiver letter) მიღებას შესაბამისი მხარეებისგან, და რომ კრედიტორები არ ამოქმედებენ სასესხო ხელშეკრულების და ობლიგაციების „პროსპექტის“ ფარგლებში გათვალისწინებულ სანქციებს, რაც შესაძლოა გამოიხატოს ახალი დაკრედიტების გაცემაზე უარის თქმაში, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვაში, არსებული საკრედიტო დავალიანებების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაში და სხვა. აღნიშნული სანქციების ამოქმედებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო საქმიანობაზე.

შვილობილი კომპანიებიდან დივიდენდების შემოღინების შეჩერებამ, შესაძლოა რისკი შეუქმნას „ემიტენტის“ საკრედიტო ვალდებულებების მომსახურების შესაძლებლობას.

სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“ წარმოადგენს ჰოლდინგურ საწარმოს, რომლის შვილობილები კონცენტრირდებიან ბიზნესის კონკრეტულ მიმართულებაზე. შესაბამისად, შვილობილებისგან მიღებული დივიდენდები წარმოადგენს შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. უშუალოდ სს „ნიკორა მენეჯმენტ ჯგუფი“ ასევე ფლობს უძრავ ქონებას, მიწისა და შენობების სახით, რომლებსაც აქირავებს შვილობილ კომპანიებზე და შედეგად საიჯარო შემოსავალი ასევე წარმოადგენს კომპანიის შემოსავლის ერთ ერთ ძირითად წყაროს. კომპანია ასევე აგენერირებს საპროცენტო შემოსავალს, შემოსავალს შვილობილების მომსახურებიდან და შემოსავალს როიალტიდან. ჯგუფის სტრუქტურიდან გამომდინარე, შვილობილი კომპანიებიდან დივიდენდების შემოღინების შეჩერებამ, შესაძლოა რისკი შეუქმნას „ემიტენტის“ საკრედიტო ვალდებულებების მომსახურების შესაძლებლობას.



NMG

ტელ: (+995 32) 269 55 50
ვებ: www.nmg.com.ge

მის. საქართველო, თბილისი
0180, ა.შრეველიშვილის ქ. N2